პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 65 (19207) კვირა, 17 მარტი, 1985 წელი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი

16 მარტს გაიმართა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი, რომელმაც განიხილა რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ამოცანები მკაცრი ზამთრის შედეგების დაძლევისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის რიგგარეშე მარტის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად მეთერთმეტე ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველი კვარტალის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების საქმეში.

თათბირზე მოწვეული იყვნენ საქართველოს კომპარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები, პარტიის რაიკომების უფლებისმქონე პარტკომების მდივნები, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები, უწყება-სამინისტროთა ხელმძღვანელი მუშაკები, მთელ რიგ რაიონულ აგროსამრეწველო გაერთიანებათა თავმჯდომარეები, ზოგიერთი დიდი საწარმო-ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწენი, ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო და სასაზღვრო ოლქების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

პრეზიდიუმში იყვნენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, ბ. ა. ანდრონიკაშვილი, ზ. დ. გაბუნია, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, ბ. ვ. ნიკოლსკი, ჯ. ი. პატიაშვილი, დ. ლ. ქართველიშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, შ. ს. სანაკოევი, ჟ. კ. შარტავა.

მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ.

კამათში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. დ. გაბუნია, სიღნაღის რაიონის წნორის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის გამოსაზრდელ-სასუქებელი კომპლექსის მექანიზატორი შ. თ. ბერიაშვილი, საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი თ. ნ. ლოლაძე, საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ო. ნ. მარგალიტაძე, საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე გ. დ. მგელაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კომისიის თავმჯდომარე შ. ვ. ყარყარაშვილი, საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრი დ. ნ. დვალიშვილი, ფოთის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ს. ტიხოვი, საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი მ. მ. ქაჯაია, ამიერკავკასიის რკინიგზის უფროსის პირველი მოადგილე ზ. დ. პაპავა, თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ ოსტატის თანაშემწე ე. ბ. ქემაშვილი, საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომის პირველი მდივანი ბ. გ. გუმბარიძე, საქართველოს სსრ მშენებლობის მინისტრი ი. ა. ხარატიშვილი, მახარაძის რაიონის სოფელ ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე გ. ა. წითლიძე, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ქ. ნ. შავიშვილი, საქართველოს სსრ ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ა. ვ. უზირია.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირმა მიიღო რეზოლუცია.

თათბირის მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვს.

(საქინფორმი).

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს

კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს გარდაცვალებასთან დაკავშირებით კომუნისტების, საბჭოთა ხალხისადმი მიმართვაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოგვიწოდეს უველას კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს გარშემო.

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირის მონაწილენი რესპუბლიკის კომუნისტების, ყველა მშრომელის სახელით აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გამუხრელად მისდიონ პარტიის განაწესს, მთელი ძალ-ღონე მოახმარონ 1985 წლის და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის გეგმების წარმატებით შესრულებას და ამის მეოხებით უზრუნველყონ რესპუბლიკის საიმედო სტარტი მომდევნო ხუთწლედში.

ჩვენ მხურვალე მოწონებით შევხვდით ცნობას, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმმა ერთსულოვნად აირჩია თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე ამხანაგი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად. ჩვენ, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ამას ვრაცხთ პარტიის პოლიტიკის სრული მემკვიდრეობითობის, აღმშენებლობისა და მშვიდობის ლენინური კურსის ერთგულების კიდევ ერთ დასტურად.

დრო დაძაბულ, შემოქმედებით მუშაობას მოითხოვს, — ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე. „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განუხრელად გაატარებს მომთხოვნელობის, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის ამაღლების გეზს“.

ხელმძღვანელობს რა ამ განაწესით, პარტიულ-სამეურნეო აქტივმა, რომელმაც განიხილა ზამთრის შედეგებისა და რესპუბლიკის ეკონომიკაში შექმნილი მდგომარეობის დაძლევის ღონისძიებანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნების შესაბამისად განსაზღვრა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების ამოცანები სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მართვის სრულყოფისა და იმ რეზერვების და შესაძლებლობების გამოყენების უზრუნველსაყოფად, რომლებიც ხელს შეუწყობენ რესპუბლიკას მიაღწიოს დასახულ მიჯნებს უკლებლივ ყველა მაჩვენებლის მიხედვით.

უკანასკნელი თვეების ამინდის პირობებმა, რომლებიც ექსტრემალური გამოდგა რესპუბლიკისათვის, სერიოზულად და, როგორც ჩანს, კარგა ხნით გაართულა სახალხო მეურნეობის პრაქტიკულად ყველა დარგის ფუნქციონირება. მაგრამ პარტიულმა ორგანიზაციებმა, მშრომელთა კოლექტივებმა სტიქიონს დაუპირისპირეს ორგანიზებულობა, გამოიჩინეს ოპერატიულობა და ბრძოლისუნარიანობა. მიყენებული ზარალის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით უდიდესი მუშაობაა გაწეული. ყოველივე ამან ერთხელ კიდევ ნათლად დაადასტურა, რომ საბჭოთა საქართველოს მშრომელებს შეუძლიათ გადაწყვიტონ ყველაზე სერიოზული ამოცანები, როგორც კომუნისტებს, საბჭოთა ადამიანებს შეშვენით, — ძალების სრული უკუგებით, კოლექტიური პასუხისმგებლობის სრული გამოვლენით.

აქტივის თათბირის მონაწილეებს არ დაუწყიათ ობიექტურ სიძნელეთა მომიზეზება და საღი, საქმიანი, თვითკრიტიკული შეფასება მისცეს გამოუყენებელ შესაძლებლობებს, გადასაწყვეტ პრობლემებს სახალხო მეურნეობის ეკონომიკის დარგში, კერძოდ, ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს სამრეწველო წარმოების ზრდის ტემპის შემდგომ დაჩქარებას, სათბობ-ენერგეტიკული და აგრარულ-სამრეწველო კომპლექსების სრულყოფას, მშენებლობის აღმავლობას, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მატერიალური რესურსების ეკონომიის შინაგანი რეზერვების ძიებას.

მიუხედავად 1984 წელს მიღწეული წარმატებებისა, რომლებიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით აღინიშნა, რესპუბლიკის მშრომელებმა წლის დამლევამდე უნდა შეასრულონ ფრიად დაძაბული პროგრამა. იგი ძირითადად აისახა 1985 წლისათვის ნაკისრ გადიდებულ სოციალისტურ ვალდებულებებში, რომლებიც მოწმობენ, რომ შრომითს კოლექტივებს არა მარტო ნათლად აქვთ წარმოდგენილი მათ წინაშე მდგომი ამოცანების სირთულე, არამედ ესმით კიდეც დაკისრებული დიდი პასუხისმგებლობა, და დასახულის განხორციელებას უკავშირებენ თითოეული სამუშაო წუთის უფრო პროდუქტიულ გამოყენებას, ორგანიზებულობისა და დისციპლინის ამაღლებას, შეურიგებელ ბრძოლას თვალისახვევის, წამატებებისა და მოჩვენებითი კეთილდღეობის წინააღმდეგ.

ყოველი საქმის წარმატება, როგორც ცნობილია, დამოკიდებულია შემსრულებლებზე, ადამიანებზე. სწორედ ამიტომ იყო, რომ კადრებთან მუშაობის, მათი პასუხისმგებლობისა და პროფესიონალიზმის ამაღლების საკითხები საგანგებოდ იქნა განხილული საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამასწინანდელ პლენუმზე, რომელმაც მოითხოვა ძირეულად შევცვალოთ ჩვენი კადრების მუშაობის სტილი მართვა-გამგეობის ყველა რგოლში, არ დავუშვათ არავითარი შეღავათი, დავუქვემდებაროთ ყველაფერი საქმის ინტერესებს, აღვკვეთოთ ქაღალდთმთხზველობა, სათათბირო ფაცაფუცი, ლაყბობა, ფორმალიზმი, რომლებიც ხელს უშლიან საქმიანობას და ორგანიზებულობას, ზღუდავენ ინიციატივას, რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის კვლავაც „უპირველესი და უპრინციპულესი ამოცანა იქნება გამოუმუშაოს ყოველ ადამიანს პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე მოვალეობის გრძნობა.

კარგად გვესმის, რაოდენ დიდი პასუხისმგებლობა გვაკისრია ყველას, ვინაიდან მონდობილი საქმისადმი ჩვენს კეთილსინდისიერ და შეგნებულ მიდგომაზე დამოკიდებულია საერთო ძალისხმევის შედეგიანობა, და მაშასადამე — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მიერ დასახული მიზნების რეალიზაცია — გადავიყვანოთ მთელი ჩვენი მეურნეობა ინტენსიური განვითარების გზაზე, მივაღწიოთ შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის ხარისხის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მოწინავე მიჯნებს.

ჩვენ მიზანდასახულად ვუდგებით პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ამოცანების გადაწყვეტას, ვავითარებთ გამომდგარ სოციალურ-ეკონომიკურ ექსპერიმენტებს და ამასთან ნიადაგ ვგრძნობთ, დიდად ვაფასებთ ყურადღებას და მზრუნველობას, რომელსაც არ გვაკლებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა მთავრობა, საკავშირო სამინისტროები, უწყებები და ორგანიზაციები.

ყოველი ჩვენი წარმატება შეუძლებელი იქნებოდა, ძალებს რომ არ გვიათკეცებდეს და ახალი შემართებისათვის ფრთას არ გვასხამდეს საბჭოეთის ხალხთა ძმური ურთიერთდახმარება. აი რატომ იყო, რომ რესპუბლიკისათვის მესამე ლენინის ორდენის გადმოცემის დღეს, მოვახსენეთ რა პარტიას და მთავრობას ჩვენი საქმეები და გეგმები, ვალდებულება ვიკისრეთ განვამტკიცოთ ეს მეგობრობა, განვამტკიცოთ ჩვენი სამშობლოს ძლიერება, ვამრავლოთ ყოველდღიური თავდადებული შრომით რესპუბლიკის წვლილი საერთო-საკავშირო დოვლათში.

როდესაც გაწეული მუშაობის შედეგებს ვაჯამებთ და ობიექტურად ვაფასებთ ეკონომიკის საქმეთა მდგომარეობას, ჩვენს შესაძლებლობებს, მტკიცედ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ხუთწლიანი გეგმის წარმატებული რეალიზაციის რეალურ წანამძღვრებზე. ხუთწლედის ოთხი წლის განმავლობაში სოლიდური საძირკველია შექმნილი: განუხრელად ფართოვდება საზოგადოებრივი წარმოების მასშტაბი და ძლიერდება მისი ტემპი, მნიშვნელოვნად გაიზარდა რესპუბლიკის ინდუსტრიული პოტენციალი, უპირატესი განვითარება პოვა სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვებამ, განმტკიცდა სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირის მონაწილენი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვს აღუთქვამენ, რომ საქართველოს სსრ კომუნისტები, ყველა მშრომელი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი რაზმის — საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობით კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ პარტიის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შესრულებისათვის, განამტკიცებენ დისციპლინას და ორგანიზებულობას, აიმაღლებენ პოლიტიკურ სიფხიზლეს, დაუცხრომლად განამტკიცებენ სამშობლოს თავდაცვითს ძლიერებას, არ დაიშურებენ ძალ-ღონეს, ცოდნას, უნარს, გამოცდილებას, რათა ღირსეულად, პრაქტიკული საქმეებით შეხვდნენ სკკპ XXVII ყრილობას.

ეს არის ჩვენი ღირსების საქმე, ჩვენი პარტიული, პატრიოტული, ინტერნაციონალური მოვალეობა.

საქართველოს სსრ პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირის მონაწილენი.

1985 წლის 16 მარტი.

ხუთწლედის ფინიშზე ყოველი დღე და ყოველი საათი ძვირად ფასობს

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი

სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე მარტის პლენუმის დამთავრებისთანავე გამართულმა საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირმა ღრმად და ყოველმხრივ გააანალიზა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საქმის ვითარება, განსაზღვრა მთელი რეზერვების გამოყენების ზუსტი პროგრამა სტიქიონის მიერ გამოწვეული ზარალის აღსანაზღაურებლად, დასახა მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა შესრულების კონკრეტული ღონისძიებანი. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებით, ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებებისა და დასკვნების სულისკვეთებით გამსჭვალულმა აქტივის თათბირმა ჩაიარა დიდი მომთხოვნელობისა და პარტიული პრინციპულობის ნიშნით, გულახდილობის, საქმიანი მიდგომის ატმოსფეროში. თათბირზე ცხადად იგრძნობოდა ღრმა დაინტერესება ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის მიჯნების მიღწევით, სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის ღირსეული შეხვედრით.

დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენებაში, კამათის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირი მი-

ვი, თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც მთელ თავის ცოდნას, ენერგიას, ორგანიზატორულ და პოლიტიკური მუშაობის მდიდარ გამოცდილებას ახმარს პარტიის პოლიტიკის განხორციელებას, ლენინის დიადი საქმის, მშრომელი ხალხის ინტერესების უანგარო სამ-

მკაცრმა ზამთარმა რამდენადმე შეაფერხა საგეგმო დავალებათა რეალიზაცია ქვეყნის მთელ რიგ დარგებსა და რეგიონებში, კერძოდ, ჩვენს რესპუბლიკაშიც. სწორედ ამიტომ ახლა, როდესაც უმნიშვნელოვანეს პრობლემათა შორის ჩვენ წინაშე დგას სახალხო მეურნეობისათვის ავდრით მიყენებული დანაკარგების ანაზღაურება, ძვირად უნდა გვიღირდეს არა მარტო თითოეული თვე, არამედ აგრეთვე ყოველი დღე, ყოველი საათი.

წარმოების მატებამ შეადგინა 6,6 პროცენტი. რეალიზებულია შრომის ნაყოფიერების ზეგეგმითი ზრდის დავალება, სამრეწველო პროდუქციის საშუალო სადღეღამისო წარმოება თებერვალში გასული წლის ამავე თვესთან შედარებით 10 პროცენტით გაიზარდა.

მაღალი მაჩვენებლების მიღწევაში გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს აგროსამრეწველო კომპლექსის სამინისტროებმა და უწყებებმა, უმთავრესად, ღვინისა და ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტების საწარმოებმა. მნიშვნელოვნად გადააჭარბეს საგეგმო დავალებებს მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, სხვა დარგების ბევრმა საწარმომ.

მაგრამ, ითქვა თათბირზე, მთავარი ის კი არ არის, რაც გაკეთდა, არამედ ის, რაც უნდა გაკეთდეს. ამოცანა ის გახლავთ, რომ ღრმად გავაანალიზოთ არსებული ნაკლოვანებანი, მკაცრად მოვკითხოთ ხელმძღვანელებს, რომ-

ლებიც ფუშავენ საგეგმო დავალებათა შესრულებას, განვსაზღვროთ შექმნილი სიძნელეებისა და სირთულეების, „ვიწრო ადგილების“ გათვალისწინებით ღონისძიებათა პროგრამა, რომლებიც უზრუნველყოფენ პირველი კვარტალის წარმატებით დამთავრებას მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის მიხედვით. ახლა ხუთწლედის ბედი მთლიანად იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად დროულად და მარჯვედ გადავჭრით წლის დამდეგიდანვე წარმოშობილ პრობლემებს. და აქ ძალზე საჭიროა დარაზმვა, მობილიზება, უნდა ავამოქმედოთ მთელი რეზერვები, დავძაბოთ მთელი ძალები, რათა შევავსოთ ხარვეზი და მივაღწიოთ დასახულ მიჯნებს.

რა უნდა გაკეთდეს ხამისოდ? დასვეს რა ეს კითხვა, თათბირის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მთავარ ეკონომიკურ პრობლემებზე და განსაზღვრეს

წარმატების ხუთი ძირითადი კომპონენტი

(დასასრული 3-ე გვ.)

მოწინავეთა მხარდამხარ



ყოველდღე თბილისის საგარეუბნო მეფრინველეობის ფაბრიკიდან ავტომანქანები საქართველოს დედაქალაქის სავაჭრო ქსელს ოცდაათ ცენტნერამდე ხორცს და ათიათასობით კვერცხს აწვდიან. სულ კი ხუთწლედის დამამთავრებელ

18 მარტს 64 წელი უსრულდება საბჭოთა აჭარას



აღმშენებლობის გზით

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

იზარდე, აფხაზეთის უნივერსიტეტო!

(დასასრული 3-ე გვ.)

ხუთწლედის ფინიშზე ყოველი დღე და ყოველი საათი ძვირად ფასობს

(დასასრული)

უკიდიათ ჯეროვნად ხელი მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისათვის. და აი შედეგი: მარტო ამ ორი სამინისტროს სისტემამ ორი თვის მანძილზე გეგმის შესრულებას დააკლო ხუთ მილიონ მანეთზე მეტი.

თათბირის მონაწილეებმა წამოაყენეს მოთხოვნა: აღნიშნული დარგების, ისევე როგორც ყველა სხვა დანარჩენი სამინისტროსა და უწყების, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოების ხელმძღვანელებმა, რადაც უნდა დაუჯდეთ, უნდა უზრუნველყონ პირველ კვარტალში საგეგმო დავალებათა შესრულება ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით, მტკიცედ დაძლიონ ნაკლოვანებანი, ხარვეზები, აღკვეთონ უხეირო ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა, უყაირათობა და ზოგჯერ უპასუხისმგებლობაც. ადგილობრივი პარტიული კომიტეტები გულდასმით და ღრმად უნდა გაერკვნენ, კრიტიკულად შეაფასონ ყოველი წარმოების, თითოეული ორგანიზაციის საქმიანობა, მიიღონ დამატებითი ღონისძიებანი ჩამორჩენის დასაძლევად.

იმისათვის, რომ ავინაზღაუროთ დანაკლისი, თავი გავართვათ მარტისა და მთლიანად პირველი კვარტალის დავალებათა შესრულებას, მიმდინარე წლის მესამე თვეში უნდა გამოვუშვათ თითქმის 84 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. ამის გაკეთება ადვილი არ არის, მაგრამ სავსებით შესაძლებელია. დღეს თითოეულ კომუნისტს, ყოველ ხელმძღვანელს, თითოეულ მშრომელს კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული: იმისათვის, რომ წლის მეორე ნახევარში დაძაბულობა აღარ გვექნეს, ყველაფერი უნდა ვიღონოთ უკვე ახლა — მარტში და მეორე კვარტალში.

მდგომარეობის სტაბილიზაციის, რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო პოტენციალის დაჩქარებული ზრდის მიღწევის მეორე უმნიშვნელოვანეს ფაქტორად დაასახელეს აქტივის თათბირის მონაწილეებმა სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის სტაბილური მუშაობა, რომელშიც უაღრესად დაძაბული ვითარება შეიქმნა. შემოდგომა-ზამთრის პერიოდის სამზადისში გაწეული გარკვეული მუშაობის მიუხედავად ზოგიერთი ობიექტური მიზეზის გამო ვერ შევძელით შეგვენარჩუნებინა ჰიდრორესურსების დაგროვილი მარაგი.

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით მიღებულ იქნა ღონისძიებანი რესპუბლიკის ჰიდროსადგურებში წყლის ხარჯის შესამცირებლად. ამასთან იმედი გვქონდა, რომ წარმოშობილ დეფიციტს შევავსებდით მეზობელი ენერგოსისტემების ხარჯზე, მაგრამ თებერვალში მწყობრიდან გამოვიდა ახლახან აშენებული ელექტროგადამცემი ხაზი „კავკასიონი", რომლის მეშვეობითაც შემოდიოდა ძირითადად ელექტროენერგია ქვეყნის ცენტრალური რაიონებიდან. დაირღვა წესები და ნორმები, რომლებიც მკაცრად უნდა შესრულებულიყო ელექტროგადამცემი ხაზის საექსპლოატაციოდ გადაცემისას, რის შედეგადაც ყველაზე პასუხსაგებ კრიტიკულ მომენტში იძულებული გავხდით შემოგვეღო ელექტროენერგიის მკაცრი ლიმიტირებული ხარჯვა. და ამისათვის უნდა მოვკითხოთ, უწინარეს ყოვლისა, „კაველექტროქსელმშენს" და „საქმთავარენერგოს".

უკვე მარტის პირველ დეკადაში ენერგოსისტემაში შეუწყნარებლად დაბალ დონეს მიაღწია დენის სიხშირემ, რასაც შედეგად მოჰყვა ცალკეული მომხმარებლების ავტომატური გამორთვა რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, ამავე დროს მნიშვნელოვნად გაიზარდა ელექტროენერგიის გამოყენება კომუნალურ-საყოფაცხოვრებო საჭიროებებისა და გათბობისათვის. ეს, რა თქმა უნდა, მოსახლეობის ბრალი არ არის, საცხოვრებელ სახლებში რადიატორები ცხელი რომ ყოფილიყო, მაშინ მობინადრეებს აღარ დასჭირდებოდათ დამატებით ჩაერთოთ ელექტრო და გაზგამთბობი ხელსაწყოები. ასეთი შედეგი მოჰყვა თბომეურნეობის სისტემის მოუმზადებლობას ექსტრემალურ პირობებში შეუფერხებელი მუშაობისათვის. არადამაკმაყოფილებელი თბომომარაგების გამო პასუხისმგებლობა უნდა გაიზიარონ აგრეთვე საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტრომ, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების შესაბამისმა სამსახურებმა, განსაკუთრებით კი რესპუბლიკის დედაქალაქის საბინაო-კომუნალურმა სამსახურებმა.

პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტი, სხვა საქალაქო და რაიონული კომიტეტები საფუძვლიანად უნდა გაერკვნენ გათბობის, მოსახლეობის გაზმომარაგების, წყალმომარაგების შეფერხების მიზეზებში და მკაცრად მოჰკითხონ შესაბამის სამეურნეო ხელმძღვანელებს.

უახლოეს წლებში არ არის მოსალოდნელი ელექტროენერგიის წარმოების არსებითი გადიდება, მასზე მოთხოვნილება კი განუხრელად გაიზრდება. ამრიგად, აღნიშნეს ორატორებმა, წინა პლანზე დგება ელექტროენერგიის ყაირათიანი ხარჯვა. სწორედ მომჭირნეობა უნდა გახდეს მისი გამოყენების ზრდის უზრუნველყოფის ძირითადი წყარო.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ტრანსპორტის, უწინარეს ყოვლისა რკინიგზის ტრანსპორტის, ზუსტი, შეუფერხებელი მუშაობა. თუმცა იანვარში ამიერკავკასიის მაგისტრალმა თავი გაართვა ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შესრულებას, თებერვალში, გართულებული ამინდის პირობების გამო, რკინიგზაზე საქმის ვითარება მკვეთრად გაუარესდა. სახალხო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვის გეგმა მხოლოდ 81,5 პროცენტით შესრულდა. სასადგურე და მისასვლელი ლიანდაგების თოვლისაგან დაგვიანებული გაწმენდის გამო თითქმის შეწყდა ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვა, შენელდა მატარებლების შედგენა.

რა თქმა უნდა, ავდარმა უარყოფითი გავლენა მოახდინა რკინიგზის მუშაობაზე. მაგრამ თოვლისა და ყინვისათვის ყველგან და ყველაფერში მტკიცე დისციპლინა და ორგანიზებულობა, რეზერვების მაქსიმალური გამოყენებისათვის კოლექტივების მარჯვე, ოპერატიული დარაზმვა რომ დაეპირისპირებინათ, მუშაობა არ ჩაიფუშებოდა.

დღეს რკინიგზის ტრანსპორტი ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი რგოლია, რომელიც მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული სახალხო მეურნეობის ყველა დარგთან. თათბირის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ ფოლადის მაგისტრალების მუშაკთა საქმიანობაში სულ უფრო მეტად დგებოდეს წინა პლანზე ორგანიზატორული ფუნქციები, რომ ტრანსპორტის მუშაკები, იზიარებდნენ საერთო პასუხისმგებლობას სახალხო-სამეურნეო გეგმების ბედისათვის, მთლიანად საქმის ვითარებისათვის, ეკონომიკის ყველა დარგში საქმიანობის საბოლოო შედეგებისათვის.

სერიოზული სიძნელეების წინაშე დგანან ავტოტრანსპორტის მუშაკები, რომლებმაც მიმდინარე წელს განსაკუთრებით ინტენსიურად უნდა იმუშაონ სოფლისათვის მინდვრის სამუშაოების ვადის მნიშვნელოვან შემცირებასთან დაკავშირებით.

მთლიანად სასოფლო-სამეურნეო სეზონისათვის ავტოპარკის მზადყოფნა 90 პროცენტს შეადგენს. ჩამორჩენა დაუშვეს ბოგდანოვკის, ასპინძის, ბორჯომის, წალკის, დმანისის, სამტრედიის, ვანის, საჩხერის, აბაშის რაიონებში, ქალაქ ჭიათურის ზონაში, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის ფარგლებში „სოფლტრანსის" რესპუბლიკური გაერთიანების შექმნის მიუხედავად საავტომობილო პარკის ძირითადი ნაწილი ჯერჯერობით ცენტრალიზებულ მმართველობას არ არის დაქვემდებარებული, რაც აძნელებს მის მანევრირებას ავდრის პერიოდში. უნდა დაჩქარდეს ახალი გაერთიანების ჩამოყალიბება, გაიზარდოს მისი სიმძლავრეები, შეიქმნას მსხვილი ავტოსატრანსპორტო საწარმოები იმ რეგიონებში, სადაც დიდია მინდვრების, პლანტაციებისა და ფერმების პროდუქციის წარმოების მოცულობა.

ავდრის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებულთა შორისაა აგროსამრეწველო კომპლექსი. მდგომარეობის სერიოზულობას ამწვავებს ისიც, რომ აქ, არსებითად, რესურსები ამოწურულია. ამიტომ აგროსამრეწველო კომპლექსის დარგებში ორი თვის მანძილზე მიღწეული სამრეწველო წარმოების გადიდება 11,9 პროცენტის მოცულობით ვერ იქნება შენარჩუნებული მთელი პირველი კვარტალის მანძილზე, თუ არ განმტკიცდა შესაბამისი რესურსების ზრდით.

წინა ორ ხუთწლედში დარგის მთლიანი პროდუქციის საშუალო წლიური წარმოება თითქმის 60 პროცენტით გაიზარდა და ზოგიერთი კულტურის მიხედვით ზღვარს მიაღწია. სწორედ ამიტომ ახლა ამოცანა ის არის, რომ ავამოქმედოთ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში არსებული მთელი რეზერვები, მთელი რესურსები, ყურადღებით გავაანალიზოთ, თუ რა შესაძლებლობები აქვთ აგროსამრეწველო კომპლექსის საწარმოებს, დამხმარე მეურნეობებს.

სამწუხაროდ, აღინიშნა თათბირზე, მთელ რიგ ადგილებში ცდილობენ წინათ არსებული ხარვეზი შეავსონ მომავალი თვეებისა და კვარტალების რესურსების გამოყენების გზით. დროა ზოგიერთმა ხელმძღვანელმა ცხადად წარმოიდგინოს, თუ რა შეიძლება მოჰყვეს რეზერვების ძიების ასეთ, უკაცრაული პასუხია, „მეთოდს".

სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის წარმოების გადიდების შესაძლებლობანი უდავოდ გვაქვს. მაგრამ ისინი ზედაპირზე როდია. იმისათვის, რომ გამოვავლინოთ ეს რეზერვები, უფრო ღრმად უნდა ჩავიხედოთ. მათი ძიების ცენტრმა მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურის ყოველმხრივი ამაღლებისაკენ უნდა გადაინაცვლოს. გადამამუშავებელ მრეწველობაში კი ახალი შესაძლებლობანი ვლინდება არა მარტო ახალ სიმძლავრეთა შექმნით, არამედ არსებულთა სრული ტექნოლოგიური განახლების უზრუნველყოფითაც.

სოფლის მეურნეობისა და აგროსამრეწველო კომპლექსის სხვა დარგების შემდგომი განვითარების პრობლემები მოითხოვს ყველა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოს დიდ ყურადღებას, ხაზი გაუსვეს თათბირის მონაწილეებმა. სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ამაღლება, სასურსათო პროგრამის განხორციელება ხომ საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმეა.

განსაკუთრებით ყურადსაღებია მეციტრუსეობაში შექმნილი მდგომარეობა, რომელსაც ძლიერმა ყინვებმა დიდი ზიანი მიაყენა. აქ უნდა განვახორციელოთ ყველა ღონისძიება, რათა დღესვე საიმედო საძირკველი შევუქმნათ მიმდინარე წლის მოსავალს.

წელს მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოების შესრულება ანომალიურ პირობებში მოგვიხდება. ითქვა თათბირზე. დასავლეთ საქართველოში ჯერ კიდევ არ დამდნარა თოვლი. ასეთივე ვითარებაა კახეთის რაიონებშიც, ქართლის ზონაში, რომ აღარაფერი ვთქვათ მთის რეგიონებზე. საგაზაფხულო სამუშაოებისათვის მზადება ყოველმხრივ უნდა ვაანალიზებდეთ და კონტროლს ვუწევდეთ.

ყოველდღიური ზრუნვის საგანია მეცხოველეობა. ახლა რესპუბლიკაში მიმდინარეობს პირუტყვის გამოზამთრების ყველაზე რთული, ყველაზე დაძაბული პერიოდი. დღეს მეცხოველეობაში არსებითად წყდება წლის, მთელი მეთერთმეტე ხუთწლედის ბედი. მაგრამ როგორ შეიძლება შეფასდეს პირუტყვის გამოზამთრებისათვის დუშეთის, ლენინგორის, ჯავის, ამბროლაურის, ორჯონიკიძის რაიონების მუშაობა, როცა მათმა მეურნეობებმა ერთ სულ პირუტყვზე მხოლოდ შვიდი ცენტნერი საკვები ერთეული დაამზადეს? მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა გაიგონ, რომ ახლა აღარ კმარა ეპიზოდური წარმატებები. ახლა მთავარია ძირეულად გავაუმჯობესოთ საქმე.

მეცხოველეობაში, ისევე როგორც რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის სხვა უმნიშვნელოვანეს დარგებში, უნდა მოგვარდეს საქმის ვითარების ყოველდღიური ანალიზი საჭირო ღონისძიებათა დროული განხორციელებისათვის. ამიტომ უკვე ახლა უნდა განვახორციელოთ რადიკალური ღონისძიებანი, რათა ოპერატიულად გადავწყვიტოთ მეთერთმეტე ხუთწლედისათვის დასახული დაძაბული პროგრამის წარმატებით შესრულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

და ბოლოს, გულდაჯერებული წინსვლის კიდევ ერთი, მეხუთე ძირითად პირობად მიიჩნიეს თათბირის მონაწილეებმა კაპიტალური მშენებლობა. აქ ორ თვეში დადებითი ძვრები მოხდა. გაიზარდა ამოქმედებული ძირითადი ფონდების მოცულობანი. ემატა კაპიტალდაბანდებათა ათვისებამ როგორც მთლიანად სახალხო მეურნეობაში, ისე ცალკეულ დარგებსა და რეგიონებში.

ამავე დროს ამ სფეროშიც ჯერ კიდევ დაძაბული ვითარებაა, თებერვალში, იანვართან შედარებით, რამდენადმე შემცირდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა. ძირითადი ფონდების ამოქმედების კვარტალური გეგმა ორ თვეში მხოლოდ 38 პროცენტით შესრულდა, ხოლო წლიური გეგმა — 1,9 პროცენტით. ეს კი ნიშნავს, რომ მარტში პირველი კვარტალის დავალებათა შესრულებისათვის უნდა ამოქმედდეს წინა ორ თვესთან შედარებით 1,6-ჯერ მეტი ძირითადი ფონდები.

ამოცანა რთულია. აქ კაცმა რომ თქვას, მშენებლობის სამინისტრო, სხვა სამინისტროები, უწყებები, ყველა სამშენებლო ორგანიზაცია განგაშს უნდა ტეხდნენ, რაზმავდნენ მთელი თავიანთი კოლექტივების ძალებს, რათა დაძლიონ ჩამორჩენა, კარდინალურად გამოასწორონ მდგომარეობა. მაგრამ ჯერჯერობით ეს არ ხდება. მშენებელთა მუშაობაში არ იგრძნობა სიმძაფრე, დაძაბულობა. ახლავე უნდა განხორციელდეს რადიკალური ღონისძიებანი, რათა ოპერატიულად გადაწყდეს მეთერთმეტე ხუთწლედისათვის დასახული სამშენებლო პროგრამის წარმატებით შესრულებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ეს ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოს უპირველესი საქმეა.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომი რთული ამოცანების განხორციელებაში კონკრეტული, საქმიანი მონაწილეობა, უნდა მიიღონ მეცნიერებმა. დღეს, აღნიშნეს თათბირის მონაწილეებმა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი არის

ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი

სწორედ იგი აძლევს იმპულსს სახალხო მეურნეობის ყველა სფეროს, საფუძვლად უდევს მათს ინტენსიფიკაციასა და ეფექტიანობას. თათბირმა კმაყოფილებით აღნიშნა, რომ ერთიანი მეცნიერულ-ტექნიკური პოლიტიკის განხორციელების შედეგად ადგილობრივი პარტიული კომიტეტები, სამინისტროები, უწყებები და საწარმოები ახლა უფრო საგნობრივად, უფრო გულმოდგინედ ეკიდებიან მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების მართვისა და დაგეგმვის პროცესებს.

პირველი შედეგები უკვე მიღწეულია. გაიზარდა იმ ხელმძღვანელთა კომპეტენტურობა, რომლებიც საქმის ცოდნით ეკიდებიან ახალი ტექნიკის დანერგვას, მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქცია-განახლებას. შესამჩნევად გამოცოცხლდა რეგიონებში მეცნიერებისა და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკოორდინაციო საბჭოების მუშაობა, რომლებიც საგეგმო საკითხებთან ერთად ოპერატიულად განიხილავენ საწარმოებისა და გაერთიანებების კოლექტივების წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ტემპის მართვა ახლა ეკონომიკური პოტენციალის ზრდის ერთი წლისთვის დადგენილი ძირითადი ორიენტირების ბაზაზე ხდება. ისინი შეიცავენ შრომის ნაყოფიერების ზრდისა და იმ ეკონომიკური ეფექტის გადიდების მაჩვენებლებს, რომელსაც გვაძლევს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა, სახალხო მეურნეობაში ხელის შრომის გამოყენების შემცირება და ხარისხის უმაღლესი კატეგორიის პროდუქციის გამოშვება და სხვა.

ამის შედეგად მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმის შესრულებამ 1984 წელს ღონისძიებათა რაოდენობის მიხედვით 99,1 პროცენტი, ხოლო სამუშაოთა მოცულობის მიხედვით 99,4 პროცენტი შეადგინა. ამასთან განხორციელებულ ღონისძიებათა რაოდენობა 1983 წელთან შედარებით თითქმის 300 ერთეულით გაიზარდა.

თათბირზე წამოყენებულ უპირველეს ამოცანათა შორისაა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გეგმის 100-პროცენტიანი შესრულება, და იგი უნდა გადაწყდეს სწორედ მიმდინარე წელს — პარტიის XXVII ყრილობის წელს. პარტიის რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა მთელი მეცადინეობა ამ მიმართულებით უნდა წარმართონ იმიტომაც, რომ ტექნიკური პროგრესის დარგში დიდი, მათ შორის რამდენიმე წლისათვის გათვალისწინებული ღონისძიებების უმრავლესობა 1985 წელს უნდა განხორციელდეს.

გასული წლის ხარვეზებიდან სერიოზული დასკვნები უნდა გამოვიტანოთ. თათბირის მონაწილეებმა გააკრიტიკეს ზოგიერთი დარგი და საწარმო არასაკმარისი აქტიურობისა და ახალი ტექნიკისადმი ყურადღების შესუსტებისათვის და მოითხოვეს ახალ, თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე აიყვანონ თავად ახალი ტექნიკის განყოფილებათა დაგეგმვაც. ისინი უნდა შეესაბამებოდეს სახალხო მეურნეობის ამოცანებსა და საჭიროებებს, გამორიცხავდეს „ვიწრო ადგილებს", წარმოების მალიმიტირებელ რგოლებს.

რესპუბლიკის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტმა და მეცნიერებათა აკადემიამ უნდა მოიფიქრონ სწორედ ამ რგოლების შესწავლის ტექნოლოგია ღრმა ანალიზის საფუძველზე და ამ საქმეში ჩააბან რესპუბლიკის სამეცნიერო პოტენციალი, წამყვანი სპეციალისტები, წარმოების მოწინავენი, გამომგონებლები და რაციონალიზატორები, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა წარმომადგენლები. როდესაც მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარების გეგმებს ვადგენთ და ვითვალისწინებთ პროგრესული ტექნოლოგიის საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, გამოთვლითი ტექნიკის დანერგვის ღონისძიებებს, ისინი ძალზე ზუსტად უნდა წარვმართოთ სწორედ რომ „ვიწრო ადგილების" აღმოსაფხვრელად.

ჩვენ, აღინიშნა ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმზე, მოკლე ვადაში უნდა მივაღწიოთ და მოვალენი ვართ მივაღწიოთ ყველაზე მოწინავე მეცნიერულ-ტექნიკურ პოზიციებს, საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების უმაღლეს მსოფლიო დონეს.

დადგა დრო, როდესაც პარტიულმა ორგანოებმა, სამეურნეო მუშაკებმა უნდა ისწავლონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მართვა, თანაც არა მარტო მრეწველობაში, არამედ აგრეთვე სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაში, მომსახურების სფეროში.

თათბირზე მწვავედ დაისვა საქონელბრუნვის გეგმის შესრულების საკითხი. ორი თვის მანძილზე მოსახლეობას დააკლდა 66 მილიონ მანეთისაზე მეტი საქონელი, ვერ გაართვეს თავი დავალებებს მთავარმა სავაჭრო ორგანიზაციებმა — ვაჭრობის სამინისტრომ და ცეკავშირმა. ასეთი მდგომარეობა განაპირობა არა მარტო ამინდის მძიმე პირობებმა, არამედ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ყოვლად არადამაკმაყოფილებელმა ორგანიზაციამაც.

დარგის ხელმძღვანელებს მიეცათ კატეგორიული კითხვა: რამდენი შეიძლება ვილაპარაკოთ საკმარისი ასორტიმენტის საქონლის ვაჭრობის ცუდი ორგანიზაციის, მუშტრის ზომა-წონასა და ანგარიშში მოტყუების, აღურიცხავი პროდუქციის შემოტანის, სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა დატაცების, ნავაჭრის ჩაბარების წესების დარღვევისა და სხვა ნეგატიური მოვლენების შესახებ, რომლებსაც მიღებული ზომების მიუხედავად, მაინც ერთობ გავრცელებული ხასიათი აქვთ? ყოველივე ეს ხდება თვით რესპუბლიკის დედაქალაქში, იმ სამინისტროებისა და უწყებების თვალსა და ხელშუა, რომლებსაც აკისრიათ მთელი პასუხისმგებლობა ეკონომიკის ამ უმნიშვნელოვანესი დარგის საქმის ვითარებისათვის, დარგისა, უშუალო კავშირი რომ აქვს მოსახლეობის საჭიროებათა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებასთან.

არაერთგზის გვითქვამს ისიც, რომ მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების საკითხებს უნდა ვუდგებოდეთ მასშტაბურად, კომპლექსურად. მაგრამ ჯერჯერობით არც აქ შეცვლილა რაიმე. უფრო მეტიც, ყველაზე ელემენტარული საკითხებიც კი არ გადამწყდარა. და ეს ხდება არა რაღაც ობიექტური მიზეზების შედეგად, არამედ იმის გამო, რომ ზოგიერთი ხელმძღვანელი განზე გაუდგა ამ საკითხების გადაწყვეტას. და მათ ყველაზე მკაცრად და პრინციპულად უნდა მოვკითხოთ.

სრულად უნდა მოვკითხოთ სამრეწველო სამინისტროებისა და უწყებების, სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებსაც, რომლებიც თავიანთი წინდაუხედავი, უპასუხისმგებლო მოქმედებით კიდევ უფრო აუარესებენ დარგში შექმნილ ისედაც რთულ მდგომარეობას. საქონელბრუნვის გეგმის შეუსრულებლობაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა იმ გარემოებამ, რომ ბაზარს არ მიეწოდა საჭირო მოცულობისა და ასორტიმენტის საქონელი, მაგალითად, მარტო იანვარში მრეწველობამ სავაჭრო ორგანიზაციებს გაუგზავნა 15 მილიონი მანეთით მეტი საყოველდღეო მოხმარების საქონელი, ვიდრე სახელშეკრულებო ვალდებულებებით იყო გათვალისწინებული.

ახლა მთავარია ყურადღებით გავერკვეთ ყველაფერში, განვახორციელოთ საგანგებო ღონისძიებანი ვაჭრობაში დაშვებული ჩამორჩენის აღმოსაფხვრელად. კერძოდ, გამოითქვა წინადადება მოვაწყოთ ზონალური თათბირები, რომლებიც დაგვეხმარება გამოვავლინოთ ახალი რეზერვები, შევიმუშაოთ დისციპლინის განმტკიცების კონკრეტული ღონისძიებანი. ძალზე სერიოზულად უნდა მოვიფიქროთ მრეწველობასთან ვაჭრობის ურთიერთდამოკიდებულების გაუმჯობესების საკითხებიც. ყოველ რეგიონში უნდა მოქმედებდეს აწყობილი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მიწოდების სახელშეკრულებო ვალდებულებათა უცილობელ შესრულებას.

მოსახლეობის მომსახურე ჩამორჩენილ უწყება-სამინისტროებს შორის დაასახელეს საყოფაცხოვრებო მომსახურების, საავტომობილო ტრანსპორტის, სოცუზრუნველყოფის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროები, „ინტურისტი", „საქავტოტექმომსახურება", „ავტოვაზტექმომსახურება", რომლებსაც დიდი შესაძლებლობანი აქვთ. ახლა მთავარია აღმოვფხვრათ არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებანი, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის პირველი კვარტალისა და მომდევნო თვეების გეგმების უცილობელი შესრულების საქმეს მოვახმაროთ მთელი არსებული რეზერვები.

ამისათვის კი სამეურნეო მუშაობის სტილისა და მეთოდების ყოველმხრივ სრულყოფასთან ერთად გვმართებს

განვამტკიცოთ დისციპლინა, გავაძლიეროთ ორგანიზებულობა

ორი თვის მუშაობის შედეგები და პირველ კვარტალის დამთავრებამდე გადასაწყვეტი ამოცანები, გართულებანი, რომლებიც სახალხო მეურნეობაში წლევანდელი ზამთრის უაღრესად მძიმე ამინდის პირობების გამო წარმოიშვა განსაკუთრებით ნათლად ცხადყოფენ რაოდენ აუცილებელია ყოველმხრივ განვამტკიცოთ დისციპლინა და წესრიგი. ეს ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, მთელი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის წარმატებით ფუნქციონირების საწინდარია.

გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში მიღწეული საერთო დადებითი შედეგები და დასძინეს, რომ საკითხის სიმწვავე დღესდღეობით მაინც არ მოხსნილა, რომ დისციპლინისა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის მუშაობაში ჯერ კიდევ მრავლად არის ნაკლოვანებები, ხარვეზები, გამოუყენებელი რეზერვები. მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში შეუწყნარებლად აყოვნებენ რესპუბლიკის პარტიული აქტივის თებერვლის კრების გადაწყვეტილებათა რეალიზაციას, არ რეაგირებენ ჯეროვანი სიმწვავითა და პრინციპულობით ნეგატიურ პროცესებზე, რომლებიც სამართალდაცვითი საქმიანობის სფეროში მიმდინარეობს.

თათბირმა მოითხოვა ყოველმხრივ გავაძლიეროთ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვისათვის, სახალხო დოვლათის დატაცება-დანიავების ფაქტების, წამატებების, მექრთამეობის, თვალისახვევის წინააღმდეგ.

იმას, რომ აღნიშნულ უბანზე ჯერ კიდევ ბევრი საკითხია გადასაწყვეტი და ძალზე დიდი მუშაობაა გასაწევი, მოწმობს ფაქტი, რომელიც პარტაქტივის თებერვლის კრების შემდეგ მოხდა. ერთი თვეც არ გასულა მას შემდეგ, რაც მწვავე, პრინციპული სჯა-ბაასი გვქონდა ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საჭიროების თაობაზე, და ახლა ნავთობპროდუქტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე დ. ა. დარსალია მექრთამეობაშია მხილებული. იმ დროს, როდესაც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა სერიოზულ სიძნელეებს განიცდის სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ნაკლებობის გამო, დარგის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, სკკპ წევრი, ნაცვლად იმისა, რომ ჯეროვანი წესრიგი დაამყაროს, მიმართავს ურთიერთთავდებობას, მექრთამეობას და გამოძალვას.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებული დადებითი შედეგების მიუხედავად არამც და არამც არ უნდა დავჯერდეთ მიღწეულს. სამინისტროები და უწყებები, ადმინისტრაციული ორგანოები, ცენტრალური კომიტეტის, მინისტრთა საბჭოს განყოფილებები კიდევ უფრო თანამიმდევრულად, უფრო საგნობრივად და კონკრეტულად უნდა ეწეოდნენ ამ მუშაობას საკურატორო დარგებში, საქმიანობის ყველა სფეროში. ისინი უნდა იჩენდნენ მაქსიმალურ სიფხიზლეს ყოველ უბანზე, სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ყოველ რგოლში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მუდამ მოითხოვს პარტიული კომიტეტების, საბჭოთა, სამეურნეო, სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელებისაგან ყველაზე უკომპრომისო, ყველაზე პრინციპულ მიდგომას იმ საკითხთა მთელი კომპლექსის გადაწყვეტისადმი, რომლებიც დაკავშირებულია პარტიული, სახელმწიფო, შრომის დისციპლინის განმტკიცებასთან, რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებასთან.

დღეს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე, კიდევ უფრო იზრდება მომთხოვნელობა ყველა რანგის ხელმძღვანელებისადმი. თითოეულ მუშაკს ნათლად უნდა ჰქონდეს შეგნებული მთელი თავისი პასუხისმგებლობა პარტიის მითითებათა განხორციელებისათვის.

რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების უკანასკნელი ორი თვის შედეგები დამაჯერებლად მოწმობს, რომ საჭიროა სახალხო-სამეურნეო გეგმების შესრულების კიდევ უფრო ეფექტიანი ორგანიზაციული და იდეოლოგიური უზრუნველყოფა.

რთულ, ექსტრემალურ პირობებში განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდა, თუ რაოდენ დიდი როლი და მნიშვნელობა აქვს ორგანიზატორულ მუშაობას, პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების, ყველა მშრომელის დარაზმვას წამოჭრილ სიძნელეთა დასაძლევად. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ თუ სტიქიონს დავუპირისპირებთ უაღრეს დარაზმულობას, ორგანიზებულობას, უნარს — ზუსტად გავანაწილოთ ძალები, გამოვყოთ მუშაობაში უმთავრესი, უპირველესი, მუდმივი კონტროლი დავუწესოთ მოვლენათა მიმდინარეობას, მაშინ არახელსაყრელი შედეგები გაცილებით ნაკლები იქნება.

სწორედ ამ მიმართულებით მოქმედებდა მთლიანად რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნა შტაბი რეგიონების დასახმარებლად მკაცრი კლიმატური პირობების შედეგების ლიკვიდაციაში. იგი ზუსტად უწევდა კოორდინაციას მთელ მუშაობას სათბობითა და ელექტროენერგიით მომარაგების, გზების გაწმენდის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რიტმული მუშაობის უზრუნველსაყოფად, წყალდიდობის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განსახორციელებლად და ა. შ.

ძნელი პირობები ადგილობრივი პარტიული კომიტეტების, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველადი პარტორგანიზაციების მებრძოლურობისა და ორგანიზატორული ძალების ერთგვარი დათვალიერება გახდა. ფაცაფუცისა და პანიკის გარეშე, საქმის მდგომარეობის კარგი ცოდნითა და დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით აღუდგნენ სტიქიონს მახარაძის რაიონში, მიზანსწრაფულად, აწყობილად მუშაობდნენ ოჩამჩირის რაიონში, სხვა რეგიონებში, სადაც პარტიულმა კომიტეტებმა შეძლეს სწრაფად გარკვეულიყვნენ შექმნილ მძიმე ვითარებაში და მიეღოთ ქმედითი ორგანიზაციული ღონისძიებანი სიძნელეთა დასაძლევად.

მაგრამ ზოგიერთი რეგიონი, მათი პარტიული და საბჭოთა ორგანოები მოუმზადებელი შეხვდნენ სტიქიონს. ასე მოხდა აჭარაში, ბათუმში, სადაც დიდთოვლობის პირველი ორი დღის მანძილზე ფაქტობრივად შეწყდა სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოების მუშაობა, დაზიანდა ზოგიერთი ობიექტი სასოფლო რაიონებში. ნამქერისა და დიდთოვლობის გამო რამდენიმე დღის განმავლობაში რაიცენტრს მოწყვეტილი აღმოჩნდნენ ჩოხატაურის რაიონის სოფლები. ხოლო პარტიის რაიკომმა, რაისაბჭოს აღმასკომმა ვერ გამოიჩინეს ჯეროვანი ოპერატიულობა და თაოსნობა, ვერ დარაზმეს ერთბაშად ადამიანები სტიქიონთან საბრძოლველად.

თათბირის მონაწილეებმა ყოველივე აქედან სერიოზული დასკვნები გამოიტანეს. მათგან მთავარი ის არის, რომ ორგანიზატორული და მმართველობითი მექანიზმი საიმედოდ უნდა მუშაობდეს ყოველგვარ პირობებში. ამისათვის კი საჭიროა ყოველ დარგში, თითოეულ რეგიონში გვქონდეს წინასწარ შედგენილი ღონისძიებათა კომპლექსური გეგმა, საგანგებო ვითარებაში მოქმედების ზუსტი პროგრამა.

როგორც ხაზგასმით აღინიშნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმზე, მთელი იდეოლოგიური საქმიანობის დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა ავამაღლოთ საბჭოთა ადამიანების შრომითი და სოციალური აქტიურობა, განვამტკიცოთ დისციპლინა, აღვზარდოთ ისინი პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ეს კი ნიშნავს, რომ, როდესაც სამეურნეო მშენებლობის საკვანძო ამოცანებს ვწყვეტთ, საჭიროა შევქმნათ ადამიანთა პოლიტიკური და შრომითი აქტიურობის ამაღლების სოციალურ-იდეოლოგიური წანამძღვრები, რაც, თავის მხრივ, თვისებრივად ახალ პრობლემებს აყენებს იდეოლოგიური მუშაკებისა და მთელი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის წინაშე.

იდეური მრწამსი მხოლოდ სიტყვისა და საქმის ერთიანობის საფუძველზე წარმოიშობა და მტკიცდება. აი ამიტომ, პარტიის სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის იდეოლოგიურ უზრუნველყოფას როცა შეეხნენ, ორატორებმა უწინარეს ყოვლისა გამოყვეს შრომით კოლექტივებში კეთილსინდისიერი შრომისათვის, საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის შინაგანი, „ადამიანური" რეზერვების მაქსიმალური გამოვლენისათვის ყველა საჭირო პირობის შექმნის ამოცანები. პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების, სამეურნეო ორგანოების, სამინისტროებისა და უწყებების უპირველესი საზრუნავი, ითქვა თათბირზე, უნდა გახდეს საწარმოო კოლექტივებში ნამდვილად შემოქმედებითი, საქმიანი, მეგობრული ატმოსფეროს ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის ვითარების შექმნა.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიეპყრო იმის საჭიროებას, რომ ყოველნაირად ღრმავდებოდეს და ფართოვდებოდეს ადამიანებთან პროპაგანდისტული, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა ფორმებში ხელმძღვანელი კადრების მონაწილეობის, მათთან უაქტუალურესი საკითხების გამო გულახდილი დიალოგის პრაქტიკა. ბოლო წლების გამოცდილება ცხადყოფს, რომ იქ, სადაც უზრუნველყოფილია მოსახლეობის ფართო ინფორმირება, საქმის [illegible] თა გულახდილი გაზიარება, აღწევენ [illegible] დადებას სიძნელეთა გადალახვაში. აი ახლაც, როცა ამინდის პირობების გამო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დაძაბული მდგომარეობა შეიქმნა, მშრომელთა გულახდილმა და ოპერატიულმა ინფორმირებამ წარმოქმნილ სიძნელეთა შესახებ, გადასაჭრელი პრობლემების შესახებ, მათი მიზეზების განმარტებამ უზრუნველყო ადამიანების პოლიტიკური შეგნების, აქტიურობისა და შემოქმედებითი ინიციატივის ამაღლება ელექტროენერგიის, სათბობი, მატერიალური რესურსების მომჭირნეობის უმკაცრესი რეჟიმისათვის, ტრანსპორტის, კომუნალური სამსახურების საწარმოებში სანიმუშო წესრიგისათვის ბრძოლაში.

ამასთან ერთად ძალზე მნიშვნელოვანია, ითქვა თათბირზე, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა, იდეოლოგიურმა სამსახურებმა კონკრეტულად, საქმიანად გააანალიზონ ადგილებზე წარმოქმნილ გართულებათა არა მარტო ობიექტური, არამედ სუბიექტური ფაქტორებიც. უფრო პრინციპულად, მწვავედ უნდა ვაყენებდეთ იმ ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობის საკითხებს, რომლებიც ზოგჯერ არაორგანიზებულობას, უყაირათობას იჩენენ. ადამიანები უნდა ხედავდნენ, რომ ამ ძალიან ძნელ, ძალიან რთულ პირობებში პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა სტაბილური გახადონ მდგომარეობა, საამისოდ კი მათ უნდა ჰქონდეთ კონკრეტული ინფორმაცია ამ მიმართულებით მუშაობის შესახებ.

ყოველი იდეოლოგიური აქცია, პარტიულ-პოლიტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი საქმიანობის ყოველი მიმართულება უნდა დავუქვემდებაროთ მთავარ მიზანს — მის დაახლოებას პრაქტიკასთან, რეალურ ცხოვრებასთან, პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორულ, სამეურნეო მუშაობასთან. ყველა უბანზე, ყველგან და ყოველთვის კომუნისტები, როგორც ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი უსვამს ხაზს, მოქალაქეობრივი ვალის მოხდის, საზოგადოების საკეთილდღეო კეთილსინდისიერი შრომის მაგალითს უნდა იძლეოდნენ.

ამ მოთხოვნას მთლიანად შეესაბამება რესპუბლიკის პარტორგანიზაციაში ჩამოყალიბებული პრაქტიკა, როცა ღია პარტიულ კრებებზე ისმენენ კომუნისტების ანგარიშებს და ამტკიცებენ მათს პარტიულ დახასიათებებს. აქაც ძალზე მნიშვნელოვანია შედეგიანობა, უკუგება, რომლებიც საბოლოო ანგარიშით, უნდა გამოიხატებოდეს საგეგმო დავალებათა შესრულების, დისციპლინის განმტკიცების, ორგანიზებულობის ამაღლების, ნეგატიურ გამოვლინებათა შემცირების მაჩვენებლებით და ა. შ. ამიტომ უკვე დღეს პარტიის ყოველ საქალაქო და რაიონულ კომიტეტში, ყოველ პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში უნდა ვეწეოდეთ ანალიზურ მუშაობას, ვსწავლობდეთ, თუ რა გავლენას ახდენს კომუნისტის შემდგომ საქმიანობასა და ცხოვრების წესზე მისი ანგარიშის, დახასიათების მომზადება, მათი განხილვა კრებაზე, რა გაკვეთილები და დასკვნები გამოაქვს ამა თუ იმ ორგანიზაციის ყველა კომუნისტს ანგარიშმგებელი პარტიის წევრის მისამართით გამოთქმული კრიტიკიდან.

თათბირის მონაწილეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის პარტორგანიზაციაში გაიზარდნენ და ჩამოყალიბდნენ მთლიანად კარგად მომზადებული, პოლიტიკურად მომწიფული, პარტიის საქმის ერთგული სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელები. ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საბოლოო სახალხო-სამეურნეო შედეგებისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლება. საკითხის ასეთი დაყენება ნაკარნახევია იმ მოთხოვნებით, რომ უზრუნველვყოთ ეკონომიკის შეუფერხებელი ფუნქციონირება მისი ყველა დარგის მჭიდრო ურთიერთკავშირის პირობებში.

წინ ბევრი საქმეა, და ყველა მათგანი უდიდესი მნიშვნელობისაა, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე. საჭიროა ყველასა და თითოეულის ენერგიის, ძალების მაქსიმალური დაძაბვა, საჭიროა სიზუსტე და შეთანხმებულობა სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ყველა რგოლის, ყველა პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციის, სამეურნეო ორგანოს მუშაობაში. ეს შესაძლებლობას მოგვცემს წარმატებით შევასრულოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე მარტის პლენუმის მოთხოვნები, ხუთწლედის დამამთავრებელი წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებები, ღირსეულად შევხვდეთ პარტიის XXVII ყრილობას.

(საქინფორმი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

წინ ახალი ამოცანებია

გაზაფხულის დადგომასთან ერთად იმ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფენ, ახალი ამოცანები დაესახათ. მინდვრის სამუშაოთა წარმატებით დამთავრება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავება, საკურორტო სეზონისათვის მზადება მნიშვნელოვანი მოცულობის ელექტროენერგიას, გაზს, თხევად სათბობსა და მის შეუფერხებელ მიწოდებას მოითხოვს. გარდა ამისა, საჭიროა ახლავე აქტიურად მოვემზადოთ მომავალი ზამთრისათვის, რათა ვერაფერი დაგვაკლოს ამინდის ჭირვეულობამ.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების რაციონალური გამოყენება და მომჭირნე ხარჯვა კვლავინდებურად პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ყურადღების ცენტრშია. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული სათბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტის სამუშაო ჯგუფის მორიგ სხდომაზე განიხილეს ზამთრის პერიოდში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის ელექტრული და სითბური ენერგიით უზრუნველყოფის შედეგები, დასახეს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ღონისძიებანი.

ჯგუფის სხდომაზე აღინიშნა, რომ უაღრესად მძიმე მდგომარეობის მიუხედავად, რომელშიც მიმდინარეობდა მომხმარებელთა ელექტრომომარაგება ზამთრის თვეებში, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობა მთლიანად უზრუნველყოფილი იყო ისეთი მოცულობის ელექტროენერგიით, რომელიც საკმარისია სახელმწიფო დავალებათა შესასრულებლად. გამონაკლისია ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანა, სადაც ჰქონდათ შეფერხებანი ელექტროდენის სიხშირის შემცირების გამო. სახალხო მეურნეობის ამა თუ იმ ობიექტის გამორთვის ყოველი შემთხვევა გულდასმით ანალიზდებოდა, ხორციელდებოდა სასწრაფო ზომები. ამჟამად შეიქმნა გამორთვის საკითხთა მოწესრიგებისათვის ოპერატიული ჯგუფი.

ამავე დროს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მწვავე დეფიციტის პირობებში რესპუბლიკის მთელი რიგი ქალაქები, რაიონები და საწარმოები აჭარბებენ ელექტროენერგიის მოხმარების დადგენილ ლიმიტებს. მიმდინარე წლის დამდეგიდან გამოვლენილ მისი 7,5 მეგავატი საერთო სიმძლავრის არარაციონალური ხარჯვის ათასამდე ფაქტი.

მოხმარების დადგენილი ლიმიტები ირღვევა გაზის ხარჯვაშიც. ეს ხდება თბილისში, რუსთავში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებში. მთელ რიგ საწარმოებსა და ორგანიზაციებს სათანადო დროს არ გადაეყვანათ გაზმომხმარებელი აგრეგატები სარეზერვო სახეობის სათბობზე. მათ შორის არიან რუსთავის რკინაბეტონის ნაკეთობათა ქარხანა, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკა.

ბოლო წლებში ბუნებრივი გაზის ხვედრითი წილი რესპუბლიკის სათბობ ბალანსში ნიადაგ მატულობს. წლეულს, შარშანდელთან შედარებით ბუნებრივი გაზის ფონდები 732 მილიონი კუბური მეტრით, ანუ 15 პროცენტით გადიდდა. ასეთი ტენდენცია მომავალშიც დარჩება. ყოველივე ეს ამაღლებს გაზის მომხმარებელთა პასუხისმგებლობას, ხაზი გაუსვეს სხდომის მონაწილეებმა, კიდევ უფრო შეუწყნარებელს ხდის მის გადახარჯვას.

თებერვალსა და მარტის პირველ ნახევარში გაძნელდა სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა გათხევადებული გაზით გზებზე ნამქერების წარმოქმნის შედეგად. რესპუბლიკაში ამ სახეობის სათბობის მნიშვნელოვანი მარაგი მოიპოვება, და გზების გაწმენდის კვალობაზე გაზს უკვე საჭირო რაოდენობით აწვდიან სოფლის რაიონებს.

თათბირის მონაწილეებმა თქვეს; რომ საჭიროა წინასწარ შევიმუშაოთ მომავალი შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის მომზადების ღონისძიებანი. კერძოდ, აღინიშნა თუ რაოდენ მნიშვნელოვანია საცხოვრებელი სახლების, სკოლების, საავადმყოფოების, სოციალური და კულტურული დანიშნულების სხვა ობიექტების დამატებითი დათბუნება.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ი. ედაჭკორია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგე ბ. დ. მაგარაშვილი, საქართველოს კომპარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები.

სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ. (საქინფორმი).

იზარდე, აფხაზეთის უნივერსიტეტო!

(დასასრული)

ური კომიტეტის მიერ მიღებულ დადგენილებებს აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შესახებ პრინციპული მნიშვნელობა აქვთ ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის დაჩქარებული განვითარებისათვის. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე სახელმწიფო უნივერსიტეტის შექმნაც ამ გადაწყვეტილებათა ხორცშესხმის შედეგია. პირველ ეტაპზე შეიქმნა გარკვეული ბაზა, რომელმაც შესაძლებელი გახადა სტუდენტების კონტინგენტის გაზრდა, ახალი სპეციალობების შემოღება. მაგრამ ცხოვრება გადიდებულ მოთხოვნებს აყენებს, რომელთა შესაბამისადაც გადაწყდა თანამედროვე კომპლექსის აშენება.

დღეს აფხაზეთი მარტო კურორტი, ტურისტული მხარე როდია. ეს არის სწრაფი ტემპით მზარდი სამრეწველო და ენერგეტიკული რეგიონი, მსხვილი სამეცნიერო ცენტრების მქონე ავტონომიური რესპუბლიკა. ყოველივე ეს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ უნივერსიტეტის კომპლექსის დაპროექტებისა და მშენებლობის დროს, გავითვალისწინოთ ხვალინდელი დღის მოთხოვნები.

გულდასმით უნდა განვიხილოთ იმ სამინისტროებისა და უწყებების შესაძლებლობები, რომლებიც წილობრივ მონაწილეობას იღებენ მშენებლობაში, ჩავაბათ ამ საქმეში სხვებიც, კერძოდ, პროფკავშირები, ვინაიდან სპეციალისტების, განსაკუთრებით კურორტებისათვის საჭირო სპეციალისტების მომზადება ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციის ღვიძლი საქმეა. უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, უმაღლესი სასწავლებლის რექტორატმა უნდა გაითვალისწინონ, რომ კურსდამთავრებულებს მოელით მუშაობა სულ სხვადასხვა დარგში, მათ შორის მომსახურების სფეროშიც.

განსაკუთრებით აღინიშნა, რომ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის მშენებლობა კიდევ ერთხელ ადასტურებს კომუნისტური პარტიის ზრუნვას აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სოციალური განვითარებისათვის.

თათბირში მონაწილეობდნენ ამხანაგები გ. ნ. ენუქიძე, ბ. ვ. ნიკოლსკი, ბ. ვ. ადლეიბა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებელთა განყოფილების გამგე ა. პ. საყვარელიძე.

(საქინფორმი).

17 მარტი საბინაო-კომუნალური მეურნეობისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკთა დღეა

ჩვენი გაზეთის კორესპონდენტი ნ. ნორაკიძე ეწვია საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრს ნიკოლოზ ნეფედოვს და საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრს ბელა მაყაშვილს და მიმართა შეკითხვით:

— როგორ შეხვდით დღევანდელ დღეს — თქვენს დღესასწაულს, რა წარმატებები მოიპოვეთ მუშაობაში, რა პერსპექტივები დაისახეთ დარგების შემდგომი განვითარებისათვის, მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისა და მომსახურების თანამედროვე დონეზე აყვანისათვის?

ნ. ნეფედოვი,

საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის მინისტრი

წლევანდელი დღესასწაული აღინიშნება ხუთწლედის დამამთავრებელ წელს, როცა საბჭოთა ხალხი აქტიურად ემზადება სკკპ XXVII ყრილობისა და დიდ სამამულო ომში გამარჯვების 40 წლისთავის შესახვედრად. ამ მნიშვნელოვან მოვლენებს შესაფერისად და საკადრისად აღნიშნავენ ჩვენი მშრომელები.

რესპუბლიკის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა წარმატებით შეასრულონ დარგის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმები. შარშან ჩვენს სისტემაში მომსახურების შემოსავლის გეგმა 104,7 პროცენტით შესრულდა. გეგმის ზევით შესრულებულია 11 ათასი მანეთის სამუშაო. სამრეწველო საწარმოებმა გაასაღეს 788 ათასი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 1,5 პროცენტით. შესრულდა კაპიტალური მშენებლობის, საბინაო ფონდის და საინჟინრო ნაგებობათა რემონტის ფართო პროგრამა, საექსპლოატაციოდ გადაეცა 275,4 მილიონი მანეთის ძირითადი ფონდები, ხოლო სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების გეგმა 104,7 პროცენტით შესრულდა. მიღწევებია ზევერი სხვა მაჩვენებლის მიხედვითაც. ყოველივე ამის დასტურია თუნდაც ის ფაქტი, რომ მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ ოთხ წელიწადში საკავშირო შეჯიბრებებში სამინისტრო წარმატებებს აღწევდა. მაგალითად, 1981 წელს სოციალისტურ შეჯიბრებაში გავიმარჯვეთ და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის მეორე ადგილი დავიკავეთ, 1982 წელს — პირველი, 1983 წელს — მეორე, და შარშან — ისევ პირველი, გავიმარჯვეთ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაშიც.

სკკპ XXVI ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის 11 მარტს გამართულმა რიგგარეშე პლენუმმა, ამ პლენუმზე თავის ისტორიულ სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა დაგვისახეს მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი ზრდის ფართო პროგრამა. ჩვენს ყოველ მუშაკს კარგად აქვს შეგნებული ამ დიდი პარტიული დავალების მნიშვნელობა.

შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის კომუნალური მეურნეობა მიმდინარე ხუთწლედში დინამიკურად ვითარდებოდა. ციფრობრივი მონაცემებით თავს არ შეგაწყენთ, მხოლოდ მოწინავეებს გაგაცნობთ.

შარშან გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების შესრულებაში თავი გამოიჩინეს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგზაო მეურნეობის სამმართველოსა და სარემონტო-სამშენებლო ტრესტის მუშაკებმა, აგრეთვე თბომეურნეობის სარემონტო ექსპერიმენტულმა მექანიზებულმა ქარხანამ, თელავის, მახარაძის, ჭიათურის საკანალიზაციო მეურნეობებმა, თელავისა და ბათუმის სასტუმროებმა.

ნათქვამი ისე არ გაგვიგოთ, თითქოს ნაკლოვანებები არ გვქონდეს. მოწინავეთა გვერდით არიან ჩამორჩენილებიც, რომლებმაც ვერ გარდაქმნეს მუშაობა თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, ვერ შეასრულეს სახელმწიფო გეგმები. მაგალითად, ჩამორჩა ელექტროტრანსპორტით მგზავრთა გადაყვანის, სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების გამოყენების, მექანიზებული შრომისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების საქმე, ჯერ კიდევ დაბალია კომუნალური მომსახურების კულტურა, გვაქვს შეფერხებები მოსახლეობის სასმელი წყლით და თბოენერგიით მომარაგებაში. მუშაობაში დიდად შეგვიშალა ხელი წლევანდელმა დიდთოვლობამ, ცხადია, არის ზარალიც. მკაცრმა ზამთარმა კარგად დაგვანახვა ჩვენი ნაკლოვანებები. აქედან სათანადო დასკვნებიც გამოვიტანეთ. მომავლის ამოცანის გადასაწყვეტად უწინარესად ეს ნაკლოვანებები უნდა დავძლიოთ. სამინისტროს კოლეგიამ შეიმუშავა და უკვე შეუდგა სხვადასხვა ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განხორციელებას. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ავარიებზე ოპერატიული რეაგირებისათვის იქმნება ერთიანი სადისპეტჩერო სამსახური. განვამტკიცებთ საფინანსო, შრომის, საშემსრულებლო, საანგარიშსწორებო დისციპლინას. გავაძლიერებთ საუწყებო კონტროლს, ვიბრძოლებთ ანგარიშგება-აღრიცხვის მოწესრიგებისათვის, დებიტორული და კრედიტორული, სააბონენტო დავალიანებათა შემცირებისათვის.

ახლახან გამართულმა სამინისტროს სისტემის მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრებამ იმსჯელა მეთერთმეტე ხუთწლედის წარმატებით დამთავრების ამოცანებზე, დავამტკიცეთ მიმდინარე წლის ახალი სოციალისტური ვალდებულებები.

ჩვენს ცხოვრებაში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა, რომ მშრომელები ყოველ დღესასწაულსა და მნიშვნელოვან მოვლენას შეხვდნენ შრომითი ძალების დარაზმვით, ხელი შეუწყონ შემდგომ წინსვლას, ახალ-ახალი წარმატებების მოპოვებას. სწორედ ასეთი აღმავლობით შეეგებნენ დარგის მუშაკები თავიანთ დღესასწაულს. გულწრფელად ვულოცავ მათ საბინაო-კომუნალური მომსახურების მუშაკის დღეს, ვუსურვებ წარმატებებსა და ბედნიერებას საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში.

ჩვენი შრომის საფასური:

მხოლოდ მადლობა

ბ. მაყაშვილი,

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი

ჩვენი სამინისტროს სისტემის ორგანიზაციებმა შარშან წარმატებები მოიპოვეს. გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები ყველა მაჩვენებლის მიხედვით. არსებითი გახლავთ ის, რომ ერთ სულ მოსახლეზე მომსახურება უდრიდა 42 მანეთსა და 42 კაპიკს, რითაც გავუსწარით საერთო-საკავშირო მაჩვენებელს (37 მანეთი და 73 კაპიკი). მომსახურების ტემპის ზრდის მაჩვენებელი 10 პროცენტია — ესეც კავშირის მასშტაბით ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

მიღწევა გახლავთ ის გარემოებაც, რომ ბოლო ორ წელიწადში ამუშავდა ახალი სიმძლავრეები. მაგალითად, მწყობრში ჩადგა საყოფაცხოვრებო სახლი „ვარკეთილი" თბილისის საქარხნო რაიონში, თბილისის ზეიმობათა სასახლე, სოხუმის საყოფაცხოვრებო და ზეიმობათა სასახლე და სხვა. ნაწილობრივ რეორგანიზებულია რესპუბლიკის საწარმოო გაერთიანება „საქრემყოფტექნიკა". მისი 18 რაიონული ქარხანა ფართო მასშტაბის სამუშაოთა შესრულების საშუალებას იძლევა.

სკკპ XXVII ყრილობის მუშაობის დაწყების წინ გაიხსნება უმაღლესი თანრიგის სილამაზის სალონი „ლუქსი" თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, ასევე მოსაპირკეთებელი ფილების საწარმო და სხვა. ეს იმ ნობათთა ნაწილია, ჩვენი სისტემის მუშა-მოსამსახურეები რომ მიუძღვნიან პარტიის მომავალ ყრილობას.

ჩვენთვის საყურადღებო საქმიანობის ძირითადი მომენტებიდან აღვნიშნავ დარგის ინდუსტრიულ საფუძველზე გადაყვანისათვის აღებულ კურსს, მსხვილ საწარმოებში მოსახლეობის მომსახურების ობიექტებისა და სოფლად კომპლექსური მიმღები პუნქტების ფართო ქსელის განვითარებას და სხვა ღონისძიებებს.

უდიდეს მნიშვნელობას ვანიჭებთ მშრომელთა აზრის, მათი სურვილების შესწავლას. ამ მიზნით სამინისტროში შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის საბჭო, ხოლო საუწყებო ინსტიტუტში — „საქყოფსახპროექტში" ჩამოყალიბებულია სოციოლოგიური კვლევის საგანგებო განყოფილება. მშრომელთა აზრის მეცნიერულ დონეზე შესწავლა, მისი გათვალისწინება ხელს უწყობს დარგის განვითარებას.

მრავალ პრობლემათა შორის, რომელთა გადაჭრაზეც მუშაობენ სამინისტრო და მისი საუწყებო ორგანიზაციები, ერთ-ერთი უმთავრესია სისტემის კოლექტივებში მორალური კლიმატის გაჯანსაღება და სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრა. რა დასამალია, რომ, მიღწევათა მიუხედავად, ბევრი ნაკლი გვაქვს და მოსახლეობა, განსაკუთრებით სოფლად, მთლიანად ვერ გრძნობს მომსახურების სიკეთეს. მომსახურების სფეროსადმი ხელმძღვანელობა საგრძნობლად გააუმჯობესა ბევრმა სახალხო დეპუტატთა საბჭომ, მაგრამ ყველაზე ასე არ ითქმის. ამიტომ არის, რომ ხელი გვეშლება სოფლად მიმღები პუნქტების ქსელის გაფართოების მომსახურების მაღალ დონეზე დაყენების საქმეში.

ჩვენთვის სადღეისო საზრუნავია მოსახლეობის მომსახურების სფეროში სიახლეთა დანერგვა, გონივრული ექსპერიმენტები. საამისო საფუძველი არის. ახალ ყაიდაზე აეწყო მუშაობა თბილისის ზეიმობათა სასახლემ, თბილისის ბინების რემონტისა და მშენებლობის ტრესტმა და სხვ. მომავალი 1986 წლიდან ვფიქრობთ შემოვიღოთ და ნაწილობრივ დავნერგოთ აგრეთვე რსფსრ და მთელი რიგი სხვა მოკავშირე რესპუბლიკების მოსახლეობის მომსახურებაში მიმდინარე ეკონომიკური ექსპერიმენტი.

შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებს დროის ყველა მონაკვეთში და, კერძოდ, დღევანდელი დღის ზეიმის შესახვედრად მრავალმხრივი მუშაობა გაუწევიათ, და კვლავაც აქტიურად გაირჯებიან მომსახურების დონის კიდევ უფრო ამაღლებისა და მისი კულტურის გაუმჯობესებისათვის.

სურათზე: საყოფაცხოვრებო მომსახურების სახლი „ვარკეთილი". ინდივიდუალური კერვის განყოფილების უფროსი მზია კილასონია ნახულავს უწონებს მკერავ-მემოდელეს ალექსანდრე მაისურაძეს.

ჯ. ლომაძის ფოტო.

ავეჯი შეკვეთით

რესპუბლიკის ავეჯის მაღაზიები წარმოების მუშაკთა წინადადებებით ნერგავენ მომსახურების ახალ ფორმას — ნიმუშებით ვაჭრობას. შეკვეთილ ავეჯს ტრანსსააგენტო მყიდველს მიუტანს მისთვის ხელსაყრელ დროს.

ეს სავსებით აძლევს ხელს სავაჭრო საწარმოებს, რომლებიც დარწმუნებულნი არიან მეავეჯეთა ნაწარმის რეალიზაციაში და მისი შენახვისათვის შეზღუდული საწარმოო ფართობები აქვთ. ეს ხელსაყრელია შემკვეთისთვისაც — იგი იძენს იმას, რაც მოსწონს. კმაყოფილი არიან წარმოების მუშაკებიც — მათი ნაწარმი, მუდამ სადდება.

— **იმის** მიხედვით, თუ როგორ იძენენ ადამიანები ჩვენს ავეჯს, შეიძლება ვიმსჯელოთ დარგის მუშაობაზე, — თქვა საქინფორმის კორესპონდენტ რ. სულავასთან საუბარში რესპუბლიკის ხე-ტყისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის მინისტრმა **თ. უჩანეიშვილმა**. — ამიტომ არის, რომ დღის წესრიგში მუდამ დგას პროდუქციის ასორტიმენტის გაფართოებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების საკითხები. ციფრობრივი მონაცემებით, ამ დარგში ჩვენი საქმე კარგად მიდის. ხუთწლედის დამდეგიდან ავითვისეთ 138 ახალი სახეობის ავეჯის გამოშვება. ყოველწლიურად ვაახლებთ ნაწარმის სახეობათა 60 პროცენტს. მაღაზიებში ავეჯი დიდხანს არ დგას. ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე დარგის საწარმოებმა გეგმის გადაჭარბებით გამოუშვეს 15,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, და თითქმის მთელი ეს პროდუქცია შეიძინეს რესპუბლიკის მცხოვრებლებმა.

დღეს სამინისტროს სისტემაში შემავალ 12 საწარმოში უშვებენ 66 დასახელების ავეჯს, რომელიც საპატიო ხუთკუთხედით არის აღნიშნული: საძილე გარნიტურებს, ნახევრად რბილ სკამებს, ტანსაცმლის კარადებს და სხვა. დარგის მშრომელთა გარჯამ მაღალი შეფასება დაიმსახურა. 1984 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით ჩვენი სამინისტრო დაჯილდოვდა სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს და დარგობრივი პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

მაგრამ ჩვენ არ ვჯერდებით მიღწეულს. ცხოვრება ახალ მოთხოვნებს გვიყენებს. იყო დრო, როცა მომხმარებელი ყიდულობდა ყოველგვარ ავეჯს, ოღონდ გამძლე ყოფილიყო, ახლა კი საჭიროა, რომ ავეჯი გამძლეც იყოს და ლამაზიც. ამის გათვალისწინებით მოვაგვარეთ საძილე გარნიტურების და საცხოვრებელი ოთახისა და სამზარეულო ავეჯის კომპლექტების გამოშვება. ხოლო იმისათვის, რომ უფრო კარგად ვიცნობდეთ მყიდველთა მოთხოვნას, შევქმენით რეალიზაციის სამსახური. იგი სწავლობს მყიდველთა მოთხოვნას და ინფორმაციას აწვდის წარმოების მუშაკებს. ამ ცოტა ხნის წინათ, მაგალითად, მოთხოვნა იყო საცხოვრებელი ოთახების ავეჯის კომპლექტებზე, ახლა კი განსაკუთრებით საჭიროა საძილე გარნიტურები, რბილი ავეჯი და წიგნის ავეჯი, არაკომპლექტური ტანსაცმლის კარადები, სერვანტები, მაგიდები.

რესპუბლიკაში ყოფნის დროს ჩვენი მუშაობით დაინტერესდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. პ. რიაბოვი. იგი მონაწილეობდა სამინისტროს კოლეგიის სხდომაში, ავეჯის გამოშვების მოცულობის გადიდების, ნედლეულისა და მასალების ყაირათიანად გამოყენების პრობლემების განხილვაში, ბევრი რამ პრაქტიკულად გვირჩია წარმოების ოპტიმიზაციისათვის.

დღეს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა ნაკლებნარჩენიანი და უნარჩენო ტექნოლოგიების შექმნა. ნედლეულის უკეთ გამოყენებისათვის მოეწყო მისი პასპორტიზაცია. იქმნება ავეჯის წარმოების ნარჩენებისა და ტყესაკაფებში მოჭრილი ხეების დამუშავების დროს ნარჩენებისა და ტოტების გადამუშავების ტექნიკური ბაზა.

მეორეული რესურსების გამოყენება უკვე 83 პროცენტამდე გაიზარდა.

ხუთწლედის დამამთავრებელ წელს დარგის საწარმოებს განსაზღვრული აქვთ წარმოების მოცულობის ზრდის სწრაფი ტემპი. ამ ტემპის მიღწევა დამოკიდებულია იმაზე, რამდენად რაციონალურად გამოვიყენებთ მატერიალურ და შრომით რესურსებს, დავნერგავთ ახალ ტექნიკას და პროგრესულ ტექნოლოგიას, გავზრდით შრომის ნაყოფიერებას, ამას მივაღწევთ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის გზით. სამინისტრომ უკვე შეიმუშავა ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შრომის პირობების გაუმჯობესება, მართვაში ზედმეტი რგოლების მოსპობა, პატარა საწარმოების ლიკვიდაცია და მეტი დამოუკიდებლობისა და უფლებების მქონე გადიდებული საწარმოების შექმნა.

ვზრუნავთ რა მყიდველისათვის, ჩვენ, ისევ და ისევ ვაჭრობის მუშაკებთან შეთანხმებით, დავნერგავთ ავეჯის გაყიდვის კიდევ ერთ ფორმას. მაღაზიაში, რომელიც წლის დამლევისათვის გაიხსნება თბილისში, ავეჯის კომპლექტების კონსტრუირებას თვითონ მყიდველებს მივანდობთ. ეს ასე გვაქვს გააზრებული: სამაკეტო დარბაზში სპეციალურ მაგიდაზე მყიდველი ფურცელზე დახაზავს თავისი ოთახის გეგმას და სპეციალური „კუბების" მეშვეობით, რომელთაგან თითოეული ავეჯის გარნიტურის სექციის იმიტაციაა, სივრცობრივად აფორმებს ოთახებს. მყიდველის სურვილისამებრ მის მიერ შექმნილი კონსტრუქცია შეიძლება აქვე დაამოდელონ სპეციალურ მაკეტზე, როცა საბოლოო ვარიანტს შეარჩევენ, მხატვარი ესკიზს გადაიტანს სქემა-შეკვეთაზე, რომლის შესაბამისად გამყიდველი გააფორმებს შეკვეთას და გადასცემს მას წარმოების მუშაკებს.

უცხოეთში

ფოტოებული მიმოხილვა

16 მარტი ■ საქდესი იუწყება

ვექებოთ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი

სტოკჰოლმის კონფერენცია

სტოკჰოლმი. ევროპაში ნდობის, უშიშროების განმტკიცებისა და განიარაღების ღონისძიებათა შესახებ სტოკჰოლმის კონფერენციის სხდომაზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელი საგანგებო დავალებათა ელჩი ო. ა. გრინევსკი. მან სტოკჰოლმის ფორუმის მონაწილეთა ყურადღება მიაპყრო ახლანდელი საშიში საერთაშორისო ვითარების დიდმნიშვნელოვან შეფასებებს, მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების გადაუდებელ ამოცანას, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის რიგგარეშე პლენუმზე და მოსკოვში გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე.

მსოფლიო განვითარების ახლანდელი პასუხსაგები ეტაპი, განაცხადა საბჭოთა წარმომადგენელმა, ყველა სახელმწიფოსაგან მოითხოვს თანამიმდევრულ მეცადინეობას კოსმოსში გამალებული შეიარაღების თავიდან აცილებისა და დედამიწაზე მისი შეწყვეტისათვის, ხალხებს შორის ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს დამყარებისათვის, ომის, უწინარეს ყოვლისა, ბირთვული ომის საფრთხის აღკვეთისათვის.

საბჭოთა კავშირმა, კონფერენციაზე წამოაყენა წინადადება სამხედრო ძალის ორმხრივი გამოუყენებლობის შესახებ შეთანხმების ძირითადი დებულებების თაობაზე, რომელიც ემყარება სოციალისტური ქვეყნების ერთობლივ ინიციატივებს. ეს წინადადება იძლევა საშუალებას დაიწყოს მოლაპარაკება, რომელიც სულს შთაბერავს ამ უმნიშვნელოვანეს ვალდებულებას. ჩვენ იმისთვისაც მზად ვართ, რომ შევიმუშაოთ და განვახორციელოთ პრაქტიკული ღონისძიებანი საკუთრივ სამხედრო დაძაბულობის შენელების დარგში. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის დელეგაციებმა ამას წინათ წამოაყენეს დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სამხედრო წვრთნის მასშტაბის შეზღუდვის წინადადებას.

ყველა ამ მიმართულებით, განაცხადა სსრ კავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა, როგორც პოლიტიკურ, ისე სამხედრო დარგში საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ქვეყნები მზად არიან იარონ წინ, ეძებონ ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებანი ისე, რომ სტოკჰოლმის კონფერენციას შედეგად მოჰყვეს მნიშვნელოვანი მორიგებანი ევროპაში ნდობისა და უშიშროების განმტკიცების თაობაზე.

ამავე სხდომაზე ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მეთაურმა, ელჩმა ო. პავლოვსკიმ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელით მოითხოვა, რომ ერთმანეთს აცნობონ ხოლმე 20 ათასი და მეტი კაცის მონაწილეობით ევროპაში და მიმდებარე ზღვის (ოკეანის) რაიონსა და საჰაერო სივრცეში ქვეითი ჯარების დიდი სამხედრო წვრთნის შესახებ, რომელიც ეწყობა დამოუკიდებლად ან სამხედრო-საჰაერო თუ სამხედრო-საზღვაო ძალების ნებისმიერი კომპონენტების გამოყენებით. ამის შესახებ ერთმანეთს შეიძლება აცნობონ წვრთნის დაწყებამდე 30 დღით ადრე.

სსრ კავშირ-ვენესუელა

ხელი მოაწერეს შეთანხმებას

კარაკასი. საბჭოთა კავშირმა და ვენესუელამ აქ ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ორივე მხარისათვის ხელსაყრელი სავაჭრო ურთიერთობის შემდგომ გაფართოებას. საგარეო საქმეთა მინისტრმა სიმონ ალბერტო კონსალვიმ, რომელიც გამოვიდა ხელმოწერის ცერემონიაზე, აღნიშნა, რომ ეს შეთანხმება ხელს შეუწყობს ორი სახელმწიფოს ყოველმხრივი თანამშრომლობის განმტკიცებას. მისი ხელმოწერა, თქვა მინისტრმა, დაემთხვა ღირსშესანიშნავ თარიღს ორმხრივი ურთიერთობის ისტორიაში — სსრ კავშირსა და ვენესუელას შორის დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების 40 წლისთავს, რომელიც 14 მარტს შესრულდა. ოთხი ათწლეულის მანძილზე, ხაზგასმით აღნიშნა მან, ჩვენ ქვეყნებს მეგობრული ურთიერთობა აქვთ, რომელსაც საფუძვლად უდევს ურთიერთპატივისცემის, ორმხრივი სარგებლიანობისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები.

ახლო აღმოსავლეთი

ტერორს ამკაცრებენ

დამასკო. ისრაელის საოკუპაციო ხელისუფალნი ამკაცრებენ ტერორსა და რეპრესიებს მდინარე იორდანის დასავლეთ ნაპირისა და ღაზის სექტორის მკვიდრი არაბი მოსახლეობის წინააღმდეგ. აქ მიღებული ცნობების თანახმად, მარტო მიმდინარე წლის დამდეგიდან ასობით პალესტინელ პატრიოტს მიუსაჯეს სხვადასხვა ვადის პატიმრობა. სულ კი ისრაელის საპატიმროებში იტანჯება ათიათასობით არაბი, რომელთა ერთადერთი დანაშაულია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა.

დაპატიმრებულ არაბ პატრიოტთა უმრავლესობა მუდმივი წამებისა და აბუჩად აგდებისაგან შეპყრობილია სხვადასხვა სენით. მედილეგეები კრძალავენ პატიმრებისათვის სამედიცინო დახმარებას. ამის შედეგად თებერვლის მანძილზე ისრაელის საპატიმროებში გარდაიცვალა 20-ზე მეტი არაბი.

პალესტინის ბევრმა ორგანიზაციამ მოუწოდა მსოფლიო საზოგადოებრიობას გააძლიეროს საპროტესტო კამპანია ოკუპანტთა თვითნებობის წინააღმდეგ, რომლებიც უხეშად უგულებელყოფენ საერთაშორისო სამართლის ყველა ნორმას.

ფოტოინფორმაცია

მეგობრობის კეთილი ნაყოფი

ხვალ, 18 მარტს სრულდება სსრ კავშირსა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის 37 წლისთავი.

● **გემთმშენებლობა** ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი ყველაზე განვითარებული დარგია. ქვეყნის გემთსაშენები უშვებენ ტანკერებს, მშრალტვირთიან გემებს, სპეციალური დანიშნულების ხომალდებს, რომლებიც რესპუბლიკის ფლოტს ავსებენ და შემკვეთებს ეგზავნებათ.

ბულგარეთის გემთმშენებლობის წარმატების საფუძველია, უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირთან ნაყოფიერი თანამშრომლობა. როგორც ბულგარეთის გემების ძირითადი მყიდველი, საბჭოთა კავშირი თავისი სტაბილური შეკვეთებით ხელს უწყობს დიდ სერიებად მათი წარმოების ორგანიზაციას.

სურათზე: რუსენის ივანე დიმიტროვის სახელობის გემთსაშენებელ კომბინატში მთავრდება 8.000-ტონიანი ტანკერის აგება, რომელიც კასპიის ზღვაში საექსპლოატაციოდ არის გათვალისწინებული.

● **ბულგარეთში** დიდი ყურადღება ეთმობა რობოტმშენებლობას. რესპუბლიკა რობოტტექნიკის დარგში ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კომპლექსური პროგრამების ერთ-ერთი კოორდინატორია. ამ დარგის წამყვან საწარმოდ იქცა ქალაქ სტარა-ზაგორის დამმახსომებელი მოწყობილობის და სამრეწველო რობოტების სამეცნიერო-საწარმოო კომბინატი „ბეროე". მისი პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს ძრავალ ქვეყანაში, მათ შორის სსრ კავშირში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

„ბეროეს" კოლექტივი მჭიდროდ თანამშრომლობს კიევის ე. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტის სპეციალისტებთან.

სურათზე: „ბეროეს" საწარმოს საამქროში მიმდინარეობს რობოტ რბ-120-ის საცდელი ნიმუშის გამოცდა.

სოფია-პრეს-საქდესის ფოტო.

ბრაზილია

საზეიმო ცერემონია

ბრაზილია. ბრაზილიის ახალი სამოქალაქო მთავრობა ოფიციალურად შეუდგა მოვალეობათა შესრულებას. ბრაზილიის პრეზიდენტად არჩეულ ტანკრედუ დი ალმეიდა ნევისის უეცარი ავადმყოფობის გამო და კონსტიტუციის შესაბამისად სახელმწიფოს მეთაურის მოვალეობებს დროებით შეასრულებს ვიცე-პრეზიდენტი ჟოზე სარნეი.

ეროვნულ კონგრესში გაიმართა ვიცე-პრეზიდენტის ჟოზე სარნეის ფიცის დადების საზეიმო ცერემონია, რომელსაც დაესწრნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლები, მათ შორის სსრ კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე პ. გ. გილაშვილი.

უშიშროების საბჭოში

ბრძოლები უნდა შეწყდეს

განიხილეს ერაყ-ირანის კონფლიქტის საკითხი

ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭომ დიდი შეშფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ გაფართოვდა ერაყსა და ირანს შორის მტრული მოქმედების მასშტაბი, რომელმაც სახიფათოდ გაამწვავა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობა რეგიონში მშვიდობისა და უშიშროების საზიანოდ. ეს განაცხადა უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ ბ. რაბეტაფიკამ (მადაგასკარი) ამ საკითხზე უშიშროების საბჭოს ორდღიანი კონსულტაციების შემდეგ.

უშიშროების საბჭოს წევრების აზრით, კონფლიქტის განგრძობის კვალობაზე, რომელმაც უკვე ბევრი ადამიანი შეიწირა და აურაცხელი მატერიალური ზარალი გამოიწვია, გაგრძელდება როგორც ბრძოლების მონაწილეთა, ისე სამოქალაქო პირთა ტანჯვა-ვაება. უშიშროების საბჭოში აღნიშნავენ, რომ საჭიროა შეწყდეს საბრძოლო მოქმედება და ეს უნდა დაიწყოს სამოქალაქო ობიექტებზე თავდაუსხმელობის მორატორიუმის შემოღებით, მიაღწიონ კონფლიქტის მშვიდობიან მოწესრიგებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებისა და საერთაშორისო კანონის შესაბამისად და ორივე მხარისათვის მისაღებ საფუძველზე.

უშიშროების საბჭოს წევრებმა გადაწყვიტეს განაგრძონ ამ საკითხის აქტიური განხილვა და კონსულტაციები ორივე მხარესთან, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან კონფლიქტის შეწყვეტის გზების ძიების მიზნით.

ვინ ვინ არის

რატომ გადადგა მინისტრი

ვაშინგტონი. შეერთებული შტატების შრომის მინისტრი რეიმონდ დონოვანი გადადგა მას შემდეგ, რაც ნიუ-იორკის შტატის სასამართლო ინსტანციებმა უარი თქვეს მოეხსნათ მისთვის წაყენებულ ბრალდებათა სერია.

როგორც ცნობილია, დონოვანს, რომელიც პრეზიდენტის ერთ-ერთ უახლოეს მეგობრად ითვლება, ბრალად დასდეს სერიოზული დანაშაულობანი, მათ შორის მაფიასთან კავშირი და მოსყიდვა. ამ ბრალდების დამადასტურებელი ფაქტები საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ სასამართლო ინსტანციებს მინისტრი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცათ. მაგრამ, სანამ საქმე სასამართლოში გადასაცემად მზადდებოდა, დონოვანი, თავისი ფართო ნაცნობობის წყალობით, ცდილობდა, მისთვის წაყენებული ბრალდებები მოეხსნათ. ეს მან ვერ მოახერხა, და, როგორც ჩანს, თეთრი სახლის კარნახით, რომლისთვისაც დონოვანის საქმე საგრძნობ პოლიტიკურ ტვირთად იქცა, მინისტრმა გადაწყვიტა გადამდგარიყო.

აგრესორის მფარველები

ფაქტის კომენტარი

რეიგანის ადმინისტრაცია მ ცხრაჯერ გამოიყენა ვეტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში ლიბანის იმ საჩივრის განხილვისას, რომელიც ეხება ისრაელი ოკუპანტების თვითნებობასა და ალვირახსნილობას. ისრაელი ტერორისა და გენოციდის აღმაშფოთებელი აქტებით ცდილობს გატეხოს ლიბანელთა წინააღმდეგობა. მაგალითად, ინგლისის ბი-ბი-სის ტელევიზიის კორესპონდენტი აღწერს, თუ როგორ გაუსწორდნენ თელავიველი ვაიმეომრები სოფელ ზრარიის მშვიდობიან მცხოვრებლებს, სადაც მოკლეს 60-ზე მეტი კაცი: „ისრაელთა ტანკები გზაზე ყვავლაფერს მუსრავდნენ — მანქანებს, სახლებს, ცეცხლს უშენდნენ და ჟლეტდნენ ადამიანებს, თუ ისინი გზად შემოხვდებოდათ. ის, რაც ჩვენ ვნახეთ, ცხადად მოწმობს — ზრარიაში მომხდარი ამბები მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ შურისგებისა და ტერორის აქტი იყო".

40 ქვეყნის წარმომადგენლებმა უშიშროების საბჭოში მხარი დაუჭირეს ლიბანის მიერ წამოყენებული რეზოლუციის პროექტს. მათ გადაჭრით დაგმეს თელ-ავივის პოლიტიკა ლიბანის ოკუპირებულ მიწა-წყალზე, ამასთან მშვიდობიან მცხოვრებთა შეგნებული და განურჩეველი ხოცვა ნამდვილ გენოციდად მიიჩნიეს. ისრაელი აგრესორის ბარბაროსული მოქმედება, ხაზი გაუსვეს ორატორებმა, — პირდაპირი შედეგია ვაშინგტონის პოლიტიკისა ყოველმხრივ წააქეზოს და მხარი დაუჭიროს ისრაელს — ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ მოკავშირეს. ასეთი შეფასების სამართლიანობა კიდევ ერთხელ დაადასტურა ამერიკის ვეტომ, რომელმაც ხელი შეუშალა ლიბანში თელავივის ბოროტმოქმედების დამგმობი რეზოლუციის მიღებას უშიშროების საბჭოში. ამით ამერიკის შეერთებული შტატები კვლავ დაუპირისპირდა საერთაშორისო გაერთიანებას.

უფრო მეტიც, ლიბანის წინააღმდეგ აგრესიის ამერიკელმა მფარველებმა და თანამონაწილეებმა ისრაელი ოკუპანტებისადმი პატრიოტების წინააღმდეგობა „ლიბანში ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთა სიცოცხლისათვის შექმნილ საფრთხედ" გაასაღეს. ამ საბაბით ამერიკის ფლოტის 6 ხომალდზე განგაში გამოცხადდა. ატომურმა ავიამზიდმა „ეიზენჰაუერმა", რაკეტმზიდმა კრეისერმა „მისისიპიმ", რამდენიმე საესკადრო ნაღმოსანმა გეზი ლიბანის ნაპირებისაკენ აიღეს. როგორც სი-ბი-ეს ტელეკომპანიამ გამოაცხადა, ისინი იქ უნდა იმყოფებოდნენ, „საიდანაც საჭიროების შემთხვევაში დარტყმების მიყენებას შეძლებენ".

ლიბანის ნაპირებთან „კუნთების" დემონსტრაცია უშიშროების საბჭოში ამერიკის ვეტოსთან ერთად თვალნათლივ მოწმობს, რომ ვაშინგტონში ყოველგვარი ლაპარაკი ახლო აღმოსავლეთში „მშვიდობიანი მოწესრიგებისადმი მისწრაფების" შესახებ წმინდა წყლის ფარისევლობაა. ამერიკის დედაქალაქში მშვიდობაზე ლაყბობით ცდილობენ მიჩქმალონ ის აშკარა ფაქტი, რომ რეიგანის ადმინისტრაცია თავის ისრაელ ხელქვეითთან ერთად არაბი ხალხების უბოროტესი მტერი და რეგიონის პრობლემების ნამდვილი გადაჭრის გზაზე მთავარი დაბრკოლებაა. (საქდესი).

„კომუნისტი"

საქვეყნო საქმე

საქმეთა

ოდესღაც, თბილისს რომ გასცდებოდით, კახეთისაკენ მიმავალი გზა გულსაც აღონებდა და თვალსაც, საგარეჯომდე მხოლოდ სართიჭალა თუ ამოიწევდა ოაზისივით, მერე, თვით საგარეჯოდან ბარჯის ხევამდე, კვლავ ულიმღამო გარემომონი ღლიდნენ მზერას.

მას შემდეგ კი, რაც ოირი შემობრუნდა სამგორისაკენ, სადამდეც თავისი გრილი წყალი მიაწვდინა, მწვანე ხოდაბუნებად, ზვრებად და ბაღჩა ბაღებად იქცა ტრამალი. გზის გასწვრივ ხეხილთა სიმწვანე არშიებივით გასდევს ორთავ მხარეს. განსაკუთრებით აყვავდა საგარეჯო სიგრძესიგანეზე ამ უკანასკნელ ხანს. დამაშვრალმა ხალხმა და რაიონის სათავეში საქმის ერთგული ხელმძღვანელობის მოსვლამ თავისი

თელავში ჩასული ისე არ გამოვბრუნდები თბილისისაკენ, თუ პედაგოგიური ინსტიტუტი არ ვინახულე, სადაც ოდესღაც ვსწავლობდი. მისი კორპუსები ახლა ქალაქის თავში უშენ ადგილას აღმართულან. და, მაინც, ჩემთვის აქ მოსვლის მთავარი მიზეზი ის ბაღია, რომელიც ამ კორპუსებს ირგვლივ შემორტყმია.

სულ რაღაც შვიდი-რვა წლის წინათ ამ ადგილას გამავალი ხევის ნაკალაპოტარი მზის გულზე ისე ხურდებოდა, სუნთქვა ჭირდა. ხვატი და ბუღი ზროიანძირიანად ახმობდა ყოველგვარ ნარგავს. შვიდ ჰექტარზე მეტი ადგილი უდაბნოს ჰგავდა.

ახლა კი ამ ადგილას ცივის მთიდან მონაბერ ნიავზე ნელიად ქანობენ უკვე დატროყებული ცაცხვების, ფიჭვების, ნაძვების, სოჭების, წაბლების, კედრების, იფნების კენწეროები. ზაფხულობით ვერცხლისფრად ლაპლაპებენ ვერხვთა ფოთლები, შრიალებენ ალვები, ირწევიან არყები და დაყურსულ, თმაჩამოშლილ ტირიფებში შებუდებული სიგრილე და მყუდროება დაუოკებელი ძალით გიზიდავს თავისკენ.

დავდივარ მათ შორის, ფრთხილად ვეხები წვენჩამდგარ ზროებს, ჩუმად ვეფერები მათ ხორკლიან, ხაოიან ტანს, ფრთხილად მივაცურებ ფეხებს შმაშურით, ჩუჩუნით მოლამუნე აყვავებულ ველურ ტუხტსა, ცისფერ ულეწელასა, ხავერდოვან შაშვისპირასა, თეთრად მოქათქათე გვირილებს შორის.

ინა და ახლა ქისტაურიდან ქალაქის მისასვლელამდე უკვე მშვენიერი გზა არის.

რადგანაც აქ, ამ წერილში, რაიონის კეთილდღეობისათვის სამომავლო გეგმების და მათი აღსრულების აღნუსხვას არ ვაპირებ, მინდა მხოლოდ იმ ამბებით შემოვიფარგლო, რომლებიც რაიონის ფარგლებში ბუნების დაცვასა და მოვლა-პატრონობას ეხება, რადგან რაიონის ხელმძღვანელობამ სასტიკი ომი გამოუცხადა ბუნების ხელმყოფელთა და შემბილწველთ. იყლო ტყეების უნებართვო ჭრამ (ახმეტის სატყეოს ახალი უფროსი — უჩა ჯაფარიძე), ბრაკონიერებმაც საკმაოდ შორს მიმალეს თავიანთი კლანჭები. ილტოს საგუბარს ზემოთ 12 აუზი მოეწყო საკალმახე მეურნეობისათვის და იქ დაზრდილი კალმახების ახალი „მოსავალიც" მოიწიეს. ახლა ალაზნისპირა-ალავერდის ჭალას უტრიალებენ, რათა მისი სილამაზე და ბარაქიანობა ხალხის სამსახურში ჩააყენონ.

ამ ჭალაზე, ალაზნისპირა-ალავერდის ჭალაზე, არაერთი წერილი დამიწერია. ჩემი ახალი რომანის „ოლოლების" თითქმის მთელი წიგნი ამ ჭალას ვუძღვენი. ბალღობიდან ამ ჭალაში გავზრდილვარ და არასოდეს დავშვრები, ალბათ, მისი სიყვარულითა და მასზე წერით. ეს ჭალა, ვფიქრობ, მთელ საქართველოში ულამაზესია მდინარისპირა ჭალებს შორის. სულ რაღაც სამასიოდე ჰექტარს მოიცავს და ასეთი უხვი არა მგონია სადმე იყოს ჭალური ფლორა. ხეთა საჯიშების ტოლს

...და მისი მომდგომ გარემომონს, რომ საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს და უთვალსაჩინოეს ადგილად ქცეულიყო. აქ არ მოვყვები იმ საქმეებზე, ეს რაიონი რომ აკეთებს უდაბნოსა და მისი მიმდებარე მიწების ხელახალი აღორძინებისათვის, — ეს

...შვიდი ჰექტარი რიყიდან ექვსი ათასი მანქანა ქვა-ღორღი გაიტანეს სტუდენტური და ინსტიტუტის თანამშრომლების შაბათობების დროს. მერე ხუთიათასი მანქანა მიწა მოზიდეს და გაწმენდილ ნარიყალზე გაშალეს. ნერგები თელავის, ახმეტის, ყვარლისა

ალაზნის პირას

მნერალი და ცხოვრება

სრულიად ცალკე წერილის თემაა, არც იმას, რა გმირულად უმკლავდებიან სტიქიის განუსჯელობას. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ დღევანდელი საგარეჯო თავისი ახალგაშენებული პარკებით, გაზონებით, ქალაქში გამოყვანილი წყაროებით, მწვანე კორომებში დასასვენებელი ადგილებით, გულმიმტაცად იქცა თვალსა და ხელს შუა. მისი ბუნებრივი ტყეები (სატყეო მეურნეობის დი-...

და საგარეჯოს სანერგე მეურნეობებიდან მოიტანეს. პარტიის საგარეჯოს რაიკომის პირველმა მდივანმა — ამ ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტდამთავრებულმა მედეა მეზვრიშვილმა საუკეთესო ნერგები გამოგზავნა და მათ შორის ოთხი ცალი ვერცხლისფერი ფიჭვი. აი, ისინი — ინსტიტუტის მთავარ შესასვლელთან რომ არის დარგული. მერე ამ ექვსი წლის წინ ადიდდა თელავის...

[...]

„კომუნისტის" ფოტოკონკურსი

ლიმილის ბიჭი ვიყავი... ზ. დათუაშვილის ფოტო.

მოვლენის წინ

18-24 მარტს საქართველოში გაიმართება საბჭოთა სიმღერის ფესტივალი „თბილისი-85", რომელიც მიეძღვნება დიადი გამარჯვების 40 წლისთავს. ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის ყველა კუთხიდან ჩამოსული კომპოზიტორები და სტუმრები.

იმას, თუ როგორია თანამედროვე მასობრივი სიმღერა, მისი როლი მშვიდობისათვის, ხალხთა მეგობრობის განმტკიცებისათვის ბრძოლაში წარმოაჩენენ ამ წარმომადგენლობითი დათვალიერების კონცერტები, რომლის ორგანიზატორები არიან რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო, კომპოზიტორთა კავშირი, სახტელერადიო, საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია.

დღესასწაულის ცენტრი გახდება საქართველოს ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზი, სადაც გაიმართება ფესტივალის შვიდივე კონცერტი. თბილისში ჩამოვლენ წამყვანი საბჭოთა კომ-

გამარჯობა, სიმღერავ!

პოზიტორები: ა. პეტროვი, ნ. ბოგოსლოვსკი, მ. კაჟლაევი, კ. ორბელიანი, ა. პახმუტოვა, ი. ფრენკელი, ე. დოგა, ვ. ბასნერი, დ. ტუხმანოვი და საბჭოთა მრავალეროვნული მუსიკალური კულტურის სხვა წარმომადგენლები. საფესტივალო აფიშებში ვნახავთ აგრეთვე ქართველი კომპოზიტორების — გ. ცაბაძის, შ. მილორავას, ვ. აზარაშვილის, ნ. გაბუნიას, მ. ხატელიშვილის, თ. ჯაიანის და სხვათა სახელებს.

თბილისელები სიმღერებს მოისმენენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკის პოპულარული საესტრადო მომღერლებზე, ახალგაზრდა სოლისტების შესრულებით, რომ-

[...]

ლადო მილორავა.

ყაბახი

სატურნირო ორბიტა

წყალბურთი. ალმა-ათაში და ტაშკენტში დაწყებული საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მორიგი ეტაპის პირველ დღეს ასეთი შედეგები აღინიშნა: ალმა-ათა. კიევის „დინამო"-ლენინგრადის „ბალტიკა" — 7:5, კასპიის წითელდროშოვანი ფლოტილიის გუნდი (ბაქო)-მოსკოვის უნივერსიტეტი — 7:9, მოსკოვის „მოსკვიჩი"-ალმა-ათის „დინამო" — 6:9; ტაშკენტი. თბილისის „დინამო"-ხარკოვის „ლოკომოტივი" — 5:4, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი-მოსკოვის „დინამო" — 5:6, ტაშკენტის „მეხნატი"-ლვოვის „დინამო" — 8:11. მორიგი, მე-18 ტურის მატჩების წინ პირველ ექვსეულში გუნდები ასე იყვნენ განლაგებული: მოსკოვის „დინამო" — 32 ქულა, ალმა-ათის „დინამო" და მოსკოვის უნივერსიტეტი — 23-23, თბილისის „დინამო" — 21, ცენტრალური სპორტკლუბი — 20 ბაქოელთა გუნდი — 19 ქულა.

ხელბურთი. კაუნასსა და კრასნოდარში მიმდინარე ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის მორიგი კალენდარული მატჩები ასე დამთავრდა: კაუნასი. მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტი-თბილისის „ქარიშხალა" — 26:23, კაუნასის „გრანიტასი"-მინსკის ასკ — 24:24, კიევის ასკ-მოსკოვის „კუნცევო" — 24:18; კრასნოდარი. ცსკა-ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი — 17:22, ლვოვის ასკ-ჩელიაბინსკის „პოლიოტი" — 18:25, ლენინგრადის „ნევა"-კრასნოდარის ფიზკულტურის ინსტიტუტი — 30:30. შეჯიბრების ლიდერები არიან მინსკის არმიელები, რომელთაც 26 შესაძლებლიდან 21 ქულა აქვთ. თბილისის „ქარიშხალა" 4 ქულით 12 კოლექტივს შორის მეთერთმეტე ადგილზეა.

კალათბურთი. ვაჟთა გუნდებს შორის ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალში, რომელიც 3 აპრილს ათენში

[...]

რედაქტორის მოადგილე ლ. ჯიქიძე.

მოსკოვი

17 მარტი

[...]

ჩვენს ტელეეკრანზე

18 მარტი

[...]

თბილისი

17 მარტი

[...]

...რის ოსტატები" — ილია ზაქაიძე. 18.15 — „ვერნისაჟი" (საგამოფენო დარბაზებში). 18.45 — მხატვრული ფილმი „უბილეთო მგზავრი" (გორკის სახელობის კინოსტუდიის ნაწარმოები, რეჟისორი ი. პობედონოსცევი. მთავარ როლებში: ტ. დოგილევა და კ. კრავინსკი). 19.50 — „მოამბე". 20.20 — „დიალოგი პოლიტიკურ თემაზე". 20.50 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის. 21.20 — სსრ კავშირის ჩემპიონატი აკრობატიკაში (მ.). 22.00 — „ვრემია". 22.35 — ფეხბურთი სსრ კავშირის პირველობაზე: ვილნიუსის „ჟალგირისი" — თბილისის „დინამო". 17 მარტის მატჩის ვიდეოჩანაწერი. 23.25 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 16.15 —

თეატრი

17 მარტი

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ქეთო და კოტე (დღისით), ათას ერთი ღამე (საღამოს); მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ახის წლის წინათ (დღისით), გართვა (საღამოს); აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ბაბაჯანას ქოშები (დღისით), ქუთათურთა ფანდები (საღამოს); მინიატიურების სახელმწიფო — ლვთაებრივი კომედია; მეტეხის — ჯაზი, ეშმაკი და სიყვარული; კინომსახიობთა — ღია შუშაბანდი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66434 უე 06655 საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა, ლენინის ქ. 14, ... 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20